პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 227 (9695) | პარასკევი, 25 სექტემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

პარტიის მოწოდების პასუხად (1-ლი გვერდი).
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში (1-ლი გვერდი).
ახალი ტექნიკა — სოფლის მეურნეობას. კარტოფილის ასაღები კომბაინი „კოკ-2“ (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის ყოფნის გამო (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (მე-2 გვერდი).
საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება. ფეიქრები ჩაებნენ შეჯიბრებაში (მე-2 გვერდი).
ორი რაიონის მევენახეთა შეჯიბრება — ... ლისაშვილი. — ზესტაფონელთა დალაგება ... (მე-2 გვერდი).
ვ. ჯაყელი. — რატომ არ ... ბის განვითარებას? (მე-2 გვერდი).
ახალი მსოფლიო ომის საფრთხის თავიდან აცილებისა და საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების ღონისძიებათა შესახებ. სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის ამხ. ა. ი. ვიშინსკის სიტყვის დასასრული (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).
თბილისი—ქალაქის ქრონიკა (მე-4 გვერდი).

მხარი დავუჭიროთ შესანიშნავ პაჭრიოტულ მოძრაობას

მანქანა-ტრაქტორთა სადგურები საკოლმეურნეო წყობილების ინდუსტრიული მატერიალურ-ტექნიკური ბაზაა და ისინი ამჟამად წარმოადგენენ გადამწყვეტ ძალას საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში, უმნიშვნელოვანეს დასაყრდენ პუნქტებს სოციალისტური სახელმწიფოს მხრივ კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის მთელი რიგი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დარგების სერიოზული ჩამორჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია იმ მძლავრი ტექნიკის სრულიად არადამაკმაყოფილებელი გამოყენება, რომელითაც სოციალისტურმა სახელმწიფომ აღჭურვა სოფლის მეურნეობა.

საბჭოთა სახელმწიფო სისტემატურად მზარდი რაოდენობით აწვდის საკოლმეურნეო სოფელს პირველხარისხოვან მანქანებს. საწუხაროდ, საქართველოს მთელ რიგ მტს-ებში არ სრულდება გამომუშავების ნორმები, ორგანიზაციული და ტექნიკური მიზეზებით ხშირია ტრაქტორების და სხვა მანქანების მოცდენა. თანამედროვე ტექნიკის გამოყენება განსაკუთრებით ცუდად არის მოწყობილი ქსუისის, მარნეულის, ალაზნის, წნორის, ქარელის, ახალციხის, წალენჯიხის, გაგრისა და ხობის მტს-ებში. ასეთი მდგომარეობის მოთმენა შეუწყნარებელია. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დასახა გრანდიოზული პროგრამა, რომლის განხორციელება უზრუნველყოფს მტს-ების მუშაობის გარდაქმნას ახალი ვითარების შესაბამისად.

პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია, რომ პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს მტს-ებში მუდმივი კვალიფიციური მექანიზატორთა კადრების შექმნა, რომელთაც უნარი ექნებათ ყველაზე სრულად და ნაყოფიერად გამოიყენონ ტექნიკა და ამით უზრუნველყონ საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგის შემდგომი მძლავრი აღმავლობა. ამიერიდან ტრაქტორისტები, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირები და მათი თანაშეგზეები, საწვავის ჩამსხმელ-აღმრიცხველები მუდმივი მუშები იქნებიან, მტს-ის შტატში ჩაირიცხებიან და მიიღებენ მაღალ გარანტირებულ ხელფასს. მუდმივი მექანიზატორთა კადრების შექმნა მტს-ების მუშაობის გაუმჯობესების საწინდარია.

მშობლიური კომუნისტური პარტიის მოწოდებამ ტექნიკის მცოდნე ადამიანებით მტს-ების განმტკიცების შესახებ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა შორის, საქართველოს სოფლის მეურნეობის ინჟინრთა, აგრონომთა, ზოოტექნიკოსთა და მექანიზატორთა შორის. ბევრი ინჟინერი, აგრონომი, ტრაქტორისტი თხოვნით მიმართავს საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს ნება დართონ წავიდნენ მუდმივ სამუშაოდ სოფლად, რომ უაღრესად გადამწყვეტ უბნებზე თავიანთი პირადი დაუღალავი შრომით ხელი შეუწყონ ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვის შექმნას ხალხისათვის და ნედლეულისა მსუბუქი მრეწველობისათვის.

ამ დღეებში საბჭოთა პრესაში მრავალი ცნობა დაიბეჭდა იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები — საბჭოთა პატრიოტები დიდი ხალისით მიდიან სამუშაოდ მტს-ებში, კოლმეურნეობებში, უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, იქ, სადაც წყდება მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის აღმავლობის ბედი.

თბილისის საწარმოებიდან თავიანთი სურვილით სოფლად მუდმივ სამუშაოდ წავიდნენ ინჟინერ-მექანიკოსები რ. ურუტაძე და ა. ჯანდიერი. ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს უფროსი ინჟინერ-მექანიზატორი ს. ომიაძე და სამინისტროს ცენტრუსებისა და ტუნგოს საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველოს ზოოტექნიკოსი ი. მელითაური წერდნენ: „ჩვენ სიხარულით ვუჭერთ მხარს მშობლიური კომუნისტური პარტიის მოწოდებას. გადავწყვიტეთ წავიდეთ სოფლად მუდმივ სამუშაოზე. კარგად გვესმის, რომ ინჟინერების, აგრონომების, ზოოტექნიკოსების ადგილი ახლა კოლმეურნეობებსა და მტს-ებშია“.

ინჟინერებთან, აგრონომებთან, ზოოტექნიკოსებთან ერთად სოფლად სამუშაოდ ბრუნდებიან ტრაქტორისტები, რომლებიც უკანასკნელი წლების მანძილზე არ მუშაობდნენ სპეციალობის მიხედვით. მათ განცხადება შეაქვთ და მოითხოვენ მიეცეთ საშუალება კვლავ მიუსხდნენ ტრაქტორების, კომბაინების საჭის. ახალსოფლის მტს-ში სამუშაოდ იბრუნდნენ ყოფილი ტრაქტორისტები ვ. ხომასურიძე და მ. გიგაური, ულიანოვკის მტს-ში ტრაქტორისტი რ. ბაინდურაშვილი, აგარის მტს-ში კი ტრაქტორისტები გ. ცოტნიაშვილი, ი. ბერუაშვილი, ი. ჩიქოვანი, რომლებიც მტს-ების შტატებში ჩაირიცხნენ და შეუდგნენ მუშაობას.

პარტიული ორგანიზაციების ვალია ყოველნაირად დაუჭირონ მხარი საბჭოთა ადამიანების ამ შესანიშნავ პატრიოტულ მოძრაობას, შეარჩიონ საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან სოფლად გასაგზავნად საუკეთესო, მოწინავე ადამიანები, რომლებსაც სურვილი აქვთ წავიდნენ მტს-ებში სამუშაოდ. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან ამ მიმართულებით გააჩაღონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ინჟინრები და ტექნიკოს-მექანიკოსები, რომლებიც სახალხო მეურნეობის სხვა დარგებიდან იგზავნებიან მტს-ებში სამუშაოდ, აგრეთვე მტს-ებში წინათ მომუშავე ტრაქტორისტები და სხვა მექანიზატორები, რომლებმაც სურვილი განაცხადეს დაუბრუნდნენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს, დაუბრკოლებლად უნდა გაათავისუფლონ სამუშაოდან სათანადო საწარმოებმა, დაწესებულებებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მზრუნველობით, გულისხმიერად უნდა მოეპყრონ მტს-ებში სამუშაოდ წასულ ინჟინრებს, მექანიკოსებს, ტრაქტორისტებსა და სხვა მუშაკებს, იზრუნონ მათთვის მაღალნაყოფიერი მუშაობის პირობების შექმნელად, საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, უზრუნველყონ ისინი საცხოვრებელი ბინით, სათბობით, დაეხმარონ მათ გადასვლის ორგანიზაციასა და ახალ სამუშაოზე მოწყობაში მათი სურვილის, მომზადების დონისა და გამოცდილების შესაბამისად.

სოციალისტური მაწათმოქმედებისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის ყოველმხრივი განვითარების ამოცანის გადაჭრაში სპეციალისტებს საპატიო როლი ეკუთვნით. მივიღწიოთ იმას, რომ სპეციალისტები უშუალოდ მუშაობდნენ წარმოებაში — კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში და აკეთებდნენ თავიანთ ღვიძლ საქმეს — სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეს.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ჰურალის პრეზიდიუმს

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს

უღან-ბატორი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა თანაგრძნობას უცხადებენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას დიდი სახალხო ჰურალის პრეზიდიუმსა და მინისტრთა საბჭოს მძიმე დანაკლისის — მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ჰურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარის გ. ბუმაცენდეს გარდაცვალების გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი — **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

1953 წლის 23 სექტემბერი.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს

უღან-ბატორი

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ჰურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარის გ. ბუმაცენდეს გარდაცვალების გამო.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო

1953 წლის 23 სექტემბერი.

პარტიის მოწოდების პასუხად

სპეციალისტები მტს-ებსა და კოლმეურნეობებს უბრუნდებიან

კიევი. კომუნისტური პარტიის მოწოდებას მტს-ების მექანიზატორთა და ხელმძღვანელი კადრების ყოველი ღონისძიებით განმტკიცების შესახებ მხურვალედ ეხმაურებიან უკრაინის საწარმო-დაწესებულებებში. ბევრ წერილსა და განცხადებას იღებენ პარტიის საოლქო კომიტეტები, რაიკომები, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისაგან.

უკრაინის სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს სპეციალისტთა ჯგუფმა სურვილი გამოთქვა წავიდეს სამუშაოდ რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მათ შორის არიან: სადგურთა ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი ნ. გრიშკო, სამმართველოს უფროსის მოადგილე, მთავარი ინჟინერ-მექანიზატორი გ. ივანოვი, უფროსი აგრონომი ი. პავლიუკი და სხვები — სულ 11 კაცი.

უკრაინის სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრმა ამხ. კალჩენკომ დააკმაყოფილა სოფლის რაიონებში სამუშაოდ წასვლის მსურველი ამხანაგების თხოვნა. უახლოეს დღეებში ისინი მიდიან რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

მინსკი. ბელორუსიის პარტიული კომიტეტები, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, უშუალოდ მტს-ები ყოველდღე იღებენ განცხადებებს მუშების, ინჟინრების, მოსამსახურეებისაგან, რომელნიც თხოულობენ კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ გაგზავნას.

ბევრი ყოფილი მექანიზატორი მუშაობს გომელის სამრეწველო საწარმოებში. ახლა ისინი მტს-ებში ბრუნდებიან. პროლეტარსკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კოლექტივში დაბრუნდა ყოფილი ტრაქტორისტი ანდრია საფეიჩენკო და ყოფილი ბრიგადირის თანაშემწე ნიკოლოზ კორპენკო. პინსკის ოლქის ტელეხანის მტს-ში დაბრუნდა ყოფილი ტრაქტორისტი ვასილ კავერჩიკი. მას მოუჩინეს ტრაქტორი „სტზ-ნატი“ რომლითაც იგი ოცდაათ შეუდგა ხვნას.

უშუალოდ საკოლმეურნეო წარმოებაში მუშაობის სურვილი გამოთქვეს მინსკის ოლქის მოლოდეჩნის რაიონის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამმართველოს აგრონომმა ვიქტორია ტოშკომ, ვერა გრიბოვიჩმა და ნადეჟდა კუკარენკომ.

23 სექტემბერი. (საკადესი).

დედაქალაქის მშრომელებისათვის

ჩვენი კოლმეურნეობა საგარეუბნოა. იგი ბოსტნეულითა და რძის პროდუქტებით ამარაგებს თბილისის მოსახლეობას. განიხილეს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, კოლმეურნეებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს ღირსეულად შეასრულონ პარტიის მიერ სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანები, უფრო მეტად განავითარონ მებოსტნეობა, გაადიდონ მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

გათვალისწინებული გვაქვს მომავალ წელს ბოსტნეულის საერთო მოსავალი ავიყვანოთ 4.250 ტონამდე — ესე იგი ორი ათასი ტონით მეტი ბოსტნეული მივიღოთ, ვიდრე წელს, ხოლო 1955 წელს — სამი ათასი ტონით მეტი. მომდინარე წლის შემოდგომაზე მნიშვნელოვნად გავაფართოებთ ხახვის, ბოლოკისა და სხვა ბოსტნეული კულტურების საზამთრო თესვას. მომავალ წელს ბოსტნების ფართობი ასი ჰექტარით გადიდდება.

ამჟამად კოლმეურნეობაში მთავრდება საქართველოში უდიდესი სათბურის მშენებლობა, რომლის ფართობი ხუთი ათას კვადრატულ მეტრს უდრის. ამ სათბურში მთელი წლის განმავლობაში მოვიყვანთ კიტრს, პამიდორს, კომბოსტოს. ვაფართოებთ ბოსტნეულის ასორტიმენტს, ვნერგავთ მოწინავე აგროტექნიკას მებოსტნეობაში. კოლმეურნეობა მნიშვნელოვნად ადიდებს კვადრატულ-ბუდობრივი წესით დათესილი პამიდორის ფართობს. პირველად გამოვიყვანთ ჩითილს ტორფ-ნემომპალიან ქოთნებში.

კოლმეურნეთა საერთო კრებამ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარება. პირუტყვის მოვლის გაუმჯობესებისა და რაციონალური კვების საფუძველზე უკვე წელსვე თვითეული საფუძველი ძროხის წველადობას ავიყვანთ 2.200 ლიტრამდე, გათვალისწინებული 1.800 ლიტრის ნაცვლად.

ა. მიგრიაული,

ქ. თბილისის გარეუბნის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარდგინებით შექმნა საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროს თევზის, ხორცის, რძისა და კვების მრეწველობის საწარმოთა და ორგანიზაციათა ბაზაზე.

საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს გადაეცა ხორცის, რძის, ერბო-კარაქის, ყველის, შაქრის, პურის ცხობის, მაკარონის, საკონდიტრო, ზეთ-ცხიმეულის, სპირტისა და არაყის, მეღვინეობის, ლუდის, ჩაის, თამბაქოს და მრეწველობის სხვა დარგების საწარმოები და ორგანიზაციები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სიის მიხედვით.

საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრად დაინიშნა ამხ. ზაქარია ნიკოლოზის-ძე **კეცხოველი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარდგინებით შექმნა საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროს მსუბუქი მრეწველობის საწარმოებისა და ორგანიზაციების ბაზაზე.

საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს გადაეცა ბამბეულის, შალეულის, აბრეშუმის, ტყავეულის, ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟის, სამკერვალო და მინის მრეწველობის დარგების საწარმოები და ორგანიზაციები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სიის მიხედვით.

საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის მინისტრად დაინიშნა ამხ. გიორგი აბესალომის-ძე **რობაქიძე.**

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის და დამზადებათა მინისტრის თანამდებობიდან გაათავისუფლა ამხ. მიხეილ ივანეს-ძე ბარამია. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრად დაინიშნა ამხ. მიხეილ პორფილეს-ძე **გიორგაძე.**

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის თანამდებობიდან გაათავისუფლა ამხ. ვლადიმერ ივანეს-ძე ჭიაურელი.

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრად დაინიშნა ამხ. ავთანდილ ლევანის-ძე **გუნია.**

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის თანამდებობიდან გაათავისუფლა ამხ. როსტომ კონსტანტინეს-ძე წულუკიძე.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრად დაინიშნა ამხ. გიორგი ნიკოლოზის-ძე **ჯიბლაძე.**

ახალი ტექნიკა — სოფლის მეურნეობას

კარტოფილის ასაღები კომბაინი „კოკ—2“



კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების მოყვანის და აღების სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის ფართოდ გამოყენების მიზნით მზადდება მთელი რიგი ახალი სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები. ერთ-ერთი ასეთი მანქანაა კარტოფილის ასაღები კომბაინი. კარტოფილის ასაღები ორმწკრივა კომბაინი „კოკ-2“, რომელსაც რიაზანის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანა ამზადებს, თხრის კარტოფილს, ტუბერებს აცლის მიწას და კარტოფილს ყრის ტარაში.

კომბაინს რამდენიმე ელევატორი აქვს. ისინი სხვადასხვა როლს ასრულებენ. პირველ ელევატორთა დანიშნულებაა მოჭრილი ბუჩქების დაბერტყვა. მიწა დაბლა ცვივა ტრანსპორტიორის რიკულებს შუა. შემდეგ კარტოფილი გაივლის რეზინის ორ მბრუნავ დოლს შუა, რომელთა დანიშნულებაა მიწის დარჩენილი გორახების დაფშვნა. ამასთან ტუბერები არ ზიანდება. შემდგომ ტრანსპორტიორებზე — ხის დიდ ცხავებზე კარტოფილი იწმინდება ფოჩის ნარჩენებისა და სარეველებისაგან, რომლებიც მანქანის ქვეშ იყრება. დიდი ძალის ვენტილატორები აშრობენ კარტოფილს და აცილებენ მტვერს. ბოლოს სუფთა კარტოფილი ჩადის ბუნკერში, ხოლო იქიდან გადადის კალათებში, რომლებიც კომბაინის სვლის პროცესში გავსებისთანავე ავტომატურად ეშვება მიწაზე. კომბაინის ყველა მექანიზმს ამუშავებს ტრაქტორის სპეციალური ლილვი.

კომბაინი „კოკ-2“ გამოსცადეს მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის კოლმეურნეობებში და მან კარგი შეფასება მიიღო. გათენებიდან დაღამებამდე იგი კარტოფილს იღებდა 4,2 ჰექტარზე.

სსრ კავშირში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის ყოფნის გამო

23 სექტემბერს სტალინგრადში ორ დღეს ყოფნის შემდეგ მოსკოვს დაბრუნდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის კიმ ირ სენის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან კორეის სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე პაკ დენ აი, საგარეო საქმეთა მინისტრი ნამ ირი, რკინიგზების მინისტრი კიმ ხე ილი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ლიმ ხე და სხვა ოფიციალური პირნი. მთავრობის დელეგაციას ახლდნენ სსრ კავშირის ელჩი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ს. პ. სუზდალევი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე დ. ა. ჟუკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორეული აღმოსავლეთის განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ვ. პასტოევი.

კორეელმა სტუმრებმა სტალინგრადში დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ ახალმშენებლობებზე, ძერჟინსკის სახელობის სატრაქტორო ქარხანაში, დაესწრნენ მხატვრული თვითმოქმედების კონცერტს მ. გორკის სახელობის საოლქო დრამატულ თეატრში. გმირი ქალაქის მცხოვრებნი ყველგან განსაკუთრებით გულწრფელად და გულთბილად იღებდნენ სტუმრებს. სტალინგრადელები მხურვალედ მიესალმნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარეს კიმ ირ სენს, მთავრობის დელეგაციის წევრებს და მათი სახით გმირ კორეელ ხალხს, რომელმაც უცხოელი ინტერვენტების თავდასხმისაგან დაიცვა თავისი სამშობლო.

მთავრობის დელეგაციის წევრებმა იმგზავრეს ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხით, გაეცნენ არხის ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს.

ცენტრალურ აეროდრომზე კიმ ირ სენსა და მთავრობის დელეგაციის წევრებს შეხვდნენ სსრ კავშირში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს თანამშრომლები, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე დ. ა. ჟუკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორეული აღმოსავლეთის განყოფილების გამგის მოადგილე ა. მ. ლედოვსკი და სხვ. (საკადესი).

უცხოეთის დელეგაციები სსრ კავშირში

სამი კვირაა საბჭოთა კავშირში სტუმრად იმყოფებიან უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების მოწვევით საზოგადოება „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ დელეგაცია ჟან პერიუსის მეთაურობით და ურუგვაი-საბჭოთა კავშირის ინსტიტუტის მოღვაწეთა დელეგაცია, რომელსაც ხუან ფრანსისკო პასოსი მეთაურობს.

სსრ კავშირში ყოფნის დროს სტუმრები მოსკოვს გარდა, იყვნენ ლენინგრადში, სტალინგრადში, სვერდლოვსკში, იმოგზაურეს სომხეთსა და უზბეკეთში. მათ დაათვალიერეს ფაბრიკა-ქარხნები, კოლმეურნეობები, სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება.

23 სექტემბერს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების გამგეობამ დარბაზობა გამართა დელეგაციათა პატივსაცემად. დარბაზობას დაესწრნენ მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწეები, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების თანამშრომლები, ცნობილი მექსიკელი მეცნიერი გილიერმო არო, აგრეთვე მექსიკის საქმეთა დროებითი რწმუნებული რ. ალმანსა გორდოა.

სტუმრებს საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა სახელით მიესალმა უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე პროფესორი ა. ი. დენისოვი. დელეგაციათა მეთაურებმა ჟან პერიუსმა და ხუან ფრანსისკო პასოსმა საპასუხო სიტყვები წარმოთქვეს.

დარბაზობამ გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

* * *

შვეიცარიის ქალთა დელეგაცია, რომელიც სსრ კავშირში იმყოფება საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის მოწვევით და რომელსაც მეთაურობს ქალთა ორგანიზაციის „მშვიდობისა და პროგრესისათვის“ გენერალური მდივანი ქ-ნი შარლოტა მიურე, გარდა მოსკოვისა, ეწვია ლენინგრადსა და ერევანს, სადაც დაათვალიერა სამრეწველო საწარმოები, კულტურულ-საგანმანათლებლო და საბავშვო დაწესებულებანი.

დელეგაცია მოსკოვში გაეცნო დედაქალაქის ქალთა ცხოვრებასა და მუშაობას.

23 სექტემბერს დელეგაცია მიიღეს საკავშირო პროფსაბჭოს ხელმძღვანელმა მუშაკებმა.

* * *

23 სექტემბერს საბჭოთა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტის მოწვევით მოსკოვს ჩამოვიდა საფრანგეთის სტუდენტთა ეროვნული კავშირის დელეგაცია. სტუმრები სსრ კავშირში დარჩებიან რამდენიმე კვირას, გაეცნობიან საბჭოთა ახალგაზრდობის ცხოვრებისა და შრომის პირობებს.

დელეგატებს ვნუკოვოს აეროდრომზე შეხვდნენ საბჭოთა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტისა და მოსკოვის სტუდენტთა წარმომადგენლები. (საკადესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამიერკავკასიის რკინიგზის სამგზავრეოების განყოფილების წამყვანი პროფესიების მუშაკთა, უფროს და საშუალო მეთაურთა შემადგენლობის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 28 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სს რესპუბლიკაში რკინიგზის ტრანსპორტზე ნამსახურობისათვის **დაჯილდოებულ იქნან:**

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. **აბულაძე** აგაბო ვასილის-ძე — მატარებლის შემდგენელი.
2. **ავალიანი** შალვა ონისიმეს-ძე — სადგურის მორიგე.
3. **ადეიშვილი** მიხეილ ვლადიმერის-ძე — სადგურის უფროსი დისპეტჩერი.
4. **ასკურავა** ალექსანდრე იაკიმეს-ძე — სადგურის მორიგე.
5. **ბოლქვაძე** ფილიმონ ერასტის-ძე — მეისრე.
6. **ბოჭოიძე** პოლიკარპე გრიგოლის-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
7. **ვაშაკიძე** ნიკოლოზ ვალერიანის-ძე — კავშირგაბმულობის დისტანციის ელექტრომექანიკოსი.
8. **გაბელაია** ანდრია ნესტორის-ძე — მატარებლის შემდგენელი.
9. **გაბელაია** ვასილ ერასტის-ძე — ხიდის დარაჯი.
10. **გაბრიჩიძე** ისიდორე ვასილის-ძე — მატარებლის შემდგენელი.
11. **გაგუა** ვიქტორ ივანეს-ძე — საავგონო დეპოს ოსტატი.
12. **გარუჩავა** ვლადიმერ ვლადიმერის-ძე — დეპოს მემანქანე.
13. **გეგეშიძე** კონსტანტინე ვასილის-ძე — საორთქლმავლო დეპოს განთავისუფლებული ბრიგადირი.
14. **გეწაძე** დავით ვლადიმერის-ძე — დეპოს მემანქანე.
15. **გოორგაძე** ვარლამ ვასილის-ძე — მთავარი კონდუქტორი.
16. **გოგოლი** იოსებ ბებუთის-ძე — მატარებლის კონტროლიორ-რევიზორი.
17. **გოგუაძე** ნიკანდრო ნიკოლოზის-ძე — მეისრე.
18. **გოლუბიანი** გრიგოლ ივანეს-ძე — დეპოს მემანქანე.
19. **გუგუშვილი** ვლადიმერ ლეონტის-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
20. **გუმბერიძე** მიხეილ მიხეილის-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
21. **ვანელიძე** ალექსანდრე ნესტორის-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
22. **ჯინჭარაძე** გიორგი ლუკას-ძე — დეპოს მემანქანე.
23. **დოლიძე** ნოე ნიკოლოზის-ძე — მეისრე.
24. **დუნდუა** ალექსანდრე ერასტის-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
25. **დუნდუა** გიორგი ალექსანდრეს-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
26. **დუნდუა** ნოე ათანასეს-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
27. **ზვიადაძე** ივანე რაჟდენის-ძე — გზის ოსტატი.
28. **ზენაიშვილი** ავქსენტი ნოეს-ძე — სადგურის მორიგე.
29. **ზოიძე** ერემია დომენტის-ძე — მეისრე.
30. **იმნაიშვილი** ალექსანდრე ყაისარის-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
31. **კაკულია** კონსტანტინე მარკოზის-ძე — კავშირგაბმულობის დისტანციის უფროსი ინჟინერი.
32. **კალატოზიშვილი** ვლადიმერ ვარდენის-ძე — დეპოს მემანქანე.
33. **კაპანაძე** კონსტანტინე ისიდორეს-ძე — სადგურის მორიგე.
34. **ქარქაშაძე** ამბროსი სამსონის-ძე — მეისრე.
35. **კახიანი** ივანე ანდრიას-ძე — საავგონო უბნის ინსტრუქტორი.
36. **კახნიაშვილი** გიორგი ილარიონის-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
37. **კაცაძე** ალექსანდრე მაქსიმეს-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
38. **ყვავაძე** ივანე ირაკლის-ძე — მეისრე.
39. **კვინიკაძე** გრიგოლ თეოდორეს-ძე — მატარებლის კონტროლიორ-რევიზორი.
40. **კვიჭიძე** პეტრე მელიტონის-ძე — მატარებლის ვაგონის ოსტატი.
41. **კიკნაძე** სერგი გრიგოლის-ძე — დეპოს მემანქანე.
42. **კოპალეიშვილი** მიხეილ ალექსანდრეს-ძე — საავგონო დეპოს განთავისუფლებული ბრიგადირი.
43. **კოპლატაძე** ანდრია ანტონის-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
44. **ქორიძე** ემელიანე ლუკას-ძე — კავშირგაბმულობის დისტანციის უფროსი ელექტრომექანიკოსი.
45. **კოხრეიძე** ვლადიმერ იოსების-ძე — მეისრე.
46. **კოხრეიძე** ალექსანდრე ილარიონის-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
47. **კოხრეიძე** ვარლამ კონსტანტინეს-ძე — მატარებლის კონტროლიორ-რევიზორი.
48. **კოხრეიძე** მიხეილ სარდიონის-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
49. **ყოჩიაშვილი** მამია სევერიანეს-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
50. **კრივცოვი** ალექსანდრე ივანეს-ძე — დეპოს მემანქანე.
51. **კუბლაშვილი** ვლადიმერ ირაკლის-ძე — სალიანდაგო დისტანციის ბრიგადირი.
52. **კუბლაშვილი** გაბრიელ ალექსანდრეს-ძე — მთავარი კონდუქტორი.
53. **კურცაძე** შალვა ვასილის-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
54. **კუჭუხიძე** ტარასი ექვთიმეს-ძე — ხიდის დარაჯი.
55. **ლასარეიშვილი** ნესტორ ალექსანდრეს-ძე — მთავარი კონდუქტორი.
56. **ლეკვეიშვილი** ბენიამინ ონისიმეს-ძე — საორთქლმავლო დეპოს განთავისუფლებული ბრიგადირი.
57. **ლილუაშვილი** აკაკი გედეონის-ძე — ლიანდაგის შემომვლელი.
58. **ლილუაშვილი** აკაკი სერგის-ძე — სალიანდაგო დისტანციის ბრიგადირი.
59. **ლილუაშვილი** ბარნაბ ივანეს-ძე — გზის ოსტატი.
60. **ლომსაძე** პლატონ სიმონის-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
61. **ლორია** ბორის ბესარიონის-ძე — დეპოს მემანქანე.
62. **მანჯავიძე** გიორგი ტერენტის-ძე — დეპოს მემანქანე.
63. **მახათაძე** გერვასი სიმონის-ძე — სადგურის მორიგე.
64. **მაჭავარიანი** სიმონ ალექსანდრეს-ძე — მატარებლის შემდგენელი.
65. **მენაბდე** ქსენია მოსეს ასული — სალიანდაგო დისტანციის კონტროლიორ-ნორმადარი.
66. **მოდებაძე** შალვა მალხაზის-ძე — მეისრე.
67. **მსხილაძე** რაფიელ ერმილეს-ძე — მეისრე.
68. **მუმლაძე** აკაკი ნესტორის-ძე — მეისრე.
69. **მუმლაძე** პლატონ თეიმურაზის-ძე — ლიანდაგის შემომვლელი.
70. **მუმლაძე** სავლე გედეონის-ძე — მეისრე.
71. **მუმლაძე** შალვა გრიგოლის-ძე — მატარებლის შემდგენელი.
72. **მჭედლიძე** ლევან გრიგოლის-ძე — დეპოს მემანქანე.
73. **მშვენიერაძე** აკაკი ფილიმონის-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
74. **ნიკოლაიშვილი** თამარ ზოსიმეს ასული — საპასპორტო მაგიდის უფროსი.
75. **ნიშნიანიძე** აკაკი ევგენის-ძე — ტექნიკური გასინჯვის პუნქტის უფროსი.
76. **ორაგველიძე** პანტელეიმონ ბალავერის-ძე — მეისრე.
77. **ფარულავა** ვარლამ ეგნატეს-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
78. **ფერაძე** ნიკოლოზ აკაკის-ძე — მატარებლის ვაგონის ოსტატი.
79. **ფერაძე** პავლე ანთიმოზის-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
80. **ფერაძე** სიმონ ანთიმოზის-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
81. **პიკალოვი** ივანე ეგორის-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
82. **ფიცხლავა** ევგენი ივლიანეს-ძე — სადგურის მორიგე.
83. **ფხაკაძე** გრიგოლ დავითის-ძე — მეისრე.
84. **სალაყაია** ლეონტი მიხეილის-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
85. **სანადირაძე** ივანე კონსტანტინეს-ძე — კავშირგაბმულობის დისტანციის ინჟინერი.
86. **სვანაძე** ვლადიმერ აპოლონის-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
87. **ტორონჯაძე** ვლადიმერ ლაზარეს-ძე — განყოფილების რევიზორი.
88. **თურმანიძე** გიორგი ილიას-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
89. **ხაბეიშვილი** პეტრე ნოეს-ძე — სექტორის უფროსი.
90. **ხაჟალია** პეტრე დავითის-ძე — გზის ოსტატი.
91. **ხაჟომია** ნიკოლოზ ილარიონის-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
92. **ხომასურიძე** ლავრენტი დავითის-ძე — ელექტროსადგურის უფროსი.
93. **ხუსკივაძე** ალექსანდრე იაკინთეს-ძე — კავშირგაბმულობის დისტანციის ელექტრომექანიკოსი.
94. **ხუჭუა** ილია ივანეს-ძე — მთავარი ბუხჰალტერი.
95. **ცაგურია** აკაკი ალექსანდრეს-ძე — საორთქლმავლო დეპოს მორიგე.
96. **წვერავა** მიხეილ კონსტანტინეს-ძე განყოფილების ინჟინერი.
97. **წილოსანი** გრიგოლ პავლეს-ძე — სადგურის უფროსი.
98. **ცომაია** მურზაყან ვასილის-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
99. **ჭანტურია** ვლადიმერ ანდრიას-ძე — გზის უფროსი ოსტატი.
100. **ჭანტურია** მიხეილ ბესარიონის-ძე — მატარებლის ვაგონის ოსტატი.
101. **ჩაჩანიძე** ლევან მიხეილის-ძე — განყოფილების უფროსის მოადგილე.
102. **ჩიხლაძე** ბენედიქტე დავითის-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
103. **შველიძე** ვარლამ ნესტორის-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
104. **შველიძე** ლევან შამშეს-ძე — განყოფილების დისპეტჩერი.
105. **შმაკოვი** მიხეილ დიმიტრის-ძე — მთავარი კონდუქტორი.
106. **შუღლაძე** კალისტრატე გიორგის-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
107. **ელისაშვილი** ივანე ალექსანდრეს-ძე — საავგონო დეპოს ოსტატი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. **აბდუშელიშვილი** ისაკი გიორგის-ძე — მატარებლების კონტროლიორ-რევიზორი.
2. **აბესაძე** ვახტანგ მალაქიას-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
3. **აბრამიშვილი** კარპეზ კონსტანტინეს-ძე — ლიანდაგის შემომვლელი.
4. **აბრამიშვილი** შალვა ფარნაოზის-ძე — სადგურის მორიგე.
5. **აზაროვი** პარმენ ეგორის-ძე — მატარებლის ვაგონის ოსტატი.
6. **ამაღლობელი** ევგენი გედეონის-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
7. **ამაშუკელი** გიორგი ილიას-ძე — მატარებლის ვაგონის ოსტატი.
8. **ანდღულაძე** გაბრიელ პავლეს-ძე — მეისრე.
9. **ახრბაძე** გრიგოლ ალექსანდრეს-ძე — ლაბორატორიის გამგე.
10. **ახობაძე** სილიბისტრო დიანოზის-ძე — მთავარი ბუხჰალტერი.
11. **ბაღდავაძე** ამირან სარდიონის-ძე — სავაგონო დეპოს ოსტატი.
12. **ბანევიჩი** ვასილ ვლადიმერის-ძე — დეპოს მემანქანე-ინსტრუქტორი.
13. **ბარამიძე** მიხეილ სამსონის-ძე — სადგურის მორიგე.
14. **ბებიაშვილი** ალექსანდრე გიორგის-ძე — საავგონო დეპოს განთავისუფლებული ბრიგადირი.
15. **ბებიაშვილი** ვიქტორ ერმილეს-ძე— მატარებლის ვაგონის ოსტატი.
16. **ბესელია** შალვა ზოსიმეს-ძე — მეისრე.
17. **ბრეგაძე** სამსონ ივანეს-ძე — მატარებლის შემდგენელი.
18. **ბურჯანაძე** კალისტრატე ეფრემის-ძე — მეისრე.
19. **ბუხაიძე** ნიკანდრო ალექსანდრეს-ძე — მეისრე.
20. **ვარდოსანიძე** ალექსანდრე გიორგის-ძე — გზის შემომვლელი.
21. **გაბრიჩიძე** ვალერიან გედეონის-ძე — დეპოს მემანქანე.
22. **გაბუნია** მიხეილ აპოლონის-ძე — დეპოს მემანქანე.
23. **გავაშელიშვილი** დიმიტრი გრიგოლის-ძე — დეპოს მემანქანე.
24. **გარუჩავა** სილოვან ბესარიონის-ძე — მეისრე.
25. **გაჩეჩილაძე** კონსტანტინე ერმილეს-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
26. **გაჩეჩილაძე** ნიკოლოზ მელიტონის-ძე —სადგურის ოსტატი.
27. **ღვინინაძე** შალვა სამსონის-ძე — მეისრე.
28. **გეგენავა** ალექსანდრე ბესარიონის-ძე — ხიდის დარაჯი.
29. **გეგეშიძე** ვლადიმერ ზაქარიას-ძე — კავშირგაბმულობის დისტანციის ელექტრომექანიკოსი.
30. **გეგეშიძე** ლუბა ონისიმეს ასული — მატარებლის კონტროლიორ-რევიზორი.
31. **გეგეშიძე** შოთა არტემის-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
32. **გეგია** მიხეილ ერმილეს-ძე — სადგურის უფროსი.
33. **გელანტია** ლიდა ილარიონის ასული — განყოფილების უფროსი ინჟინერი.
34. **გერაძე** მათე ვასილის-ძე — მატარებლის შემდგენელი.
35. **ღლონტი** დმიტრი მელიტონის-ძე — მატარებლის კონტროლიორ-რევიზორი.
36. **გლუნჩაძე** ვლადიმერ პავლეს-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
37. **გოგიბერიძე** სილიბისტრო თეოფანეს-ძე — მეისრე.
38. **გოგია** ივანე ელიზბარის-ძე — კავშირგაბმულობის დისტანციის ელექტრომექანიკოსი.
39. **გოგია** პეტრე ნესტორის-ძე — მეისრე.
40. **გოგოლი** შალვა თეიმურაზის-ძე — ლიანდაგის შემომვლელი.
41. **გორგილაძე** გიორგი პავლეს-ძე — მატარებლის ვაგონის ოსტატი.
42. **ღრუბელაშვილი** ალექსი იასონის-ძე — მატარებლის კონტროლიორ-რევიზორი.
43. **გუგუშვილი** დავით მელიტონის-ძე — სადგურის დისპეტჩერი.
44. **გუმბელიძე** ილია იაკობის-ძე — მეისრე.
45. **გუნცაძე** ვლადიმერ პავლეს-ძე — დეპოს მემანქანე.
46. **დევიძე** შალვა ტარიელის-ძე — ლიანდაგის შემომვლელი.
47. **დუნდუა** თამარ ალექსანდრეს ასული — უფროსი ბუხჰალტერი.
48. **დუნდუა** სპირიდონ ათანასეს-ძე — სადგურის მორიგე.
49. **უვანია** სერგი ილიას-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
50. **ზარნაძე** დავით იოველის-ძე — მთავარი კონდუქტორი.
51. **ქავთარაძე** პეტრე ნიკოლოზის-ძე — მეისრე.
52. **კაკაბაძე** ვლადიმერ ლავრენტის-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
53. **კაკულია** იროდიონ ივანეს-ძე — ხიდის დარაჯი.
54. **კალიუჟნი** ანდრია მიხეილის-ძე — სადგურის უფროსის მოადგილე.
55. **კაპანაძე** სერაპიონ თეოდორეს-ძე — ლიანდაგის შემომვლელი.
56. **კაცაძე** გიორგი ფილიპეს-ძე — ვაგონების უფროსი გამსინჯველი.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

*) **გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 226.**

თბილისი. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში მასობრივად გაჩაღდა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. **სურათზე:** შეჯიბრებაში დაწინაურებული ამწყობი-ზენინკალი გ. ხუბაიერი და საექსპერიმენტო საამქროს უფროსი ინჟინერი ქეთევან შელია, რომელიც ამოწმებს რედუქტორების აწყობის ხარისხს.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

საოქტომბრო

სოციალისტური შეჯიბრება

ფეიქრები ჩაებნენ შეჯიბრებაში

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კოლექტივმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა შრომის ორგანიზაცია, აამაღლა დაზგების წარმადობა, ფართოდ დანერგა შრომის მოწინავე მეთოდები, რის შედეგადაც 8 თვის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა. დაზოგილია 8 ტონა მატყლის ნამზადი, 5 ტონა ნართი, 865 ტონა სათბობი და 435 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია. დაზოგილი მასალებისაგან რვა თვის გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 30.500 მეტრი ხამი ქსოვილი.

ამას წინათ ფეიქრებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს ჩაებან საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი, გადიდებული საწარმოო ვალდებულების გასანაღდებლად. მათ იკისრეს: 7 ნოემბრისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვან 85 ათასი ხამი ქსოვილი, გეგმასთან შედარებით 1,5 პროცენტით აამაღლონ პროდუქციის ხარისხი, ხამი ქსოვილის გამოყვანის ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებისა და თვითეული საწარმოო ოპერაციის მაღალხარისხოვნად შესრულებით უზრუნველყონ 35 ათასი მეტრი ხამი ქსოვილის, 15 ტონა მატყლის, 6 ტონა ნართის, 900 ტონა სათბობისა და 500 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ეკონომიის მიღწევა. მათი ვალდებულებაა აგრეთვე მაუდის სართავი მოწყობილობის წარმადობა გაზარდონ 5 პროცენტით, კამვოლის სართავისა — 0,5 პროცენტით და საქსოვი დაზგების წარმადობა — 2,5 პროცენტით, მუშათა შრომის საშუალო ნაყოფიერება გაადიდონ 2,5 პროცენტით და გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად მოგვცენ 740 ათასი მანეთი ზოგგემითი დაგრეგვება.

მოწინავე ბრიგადებმა, რომლებიც გეგმას სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებენ, კიდევ უფრო გადიდებული ვალდებულებები იკისრეს.

მაიაკოვსკის რაიონში

პენსიები და დახმარება

სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ წელს პენსიებისა და დახმარების სახით გასცა 1.312.472 მანეთი, აქედან სამამულო ომში დაღუპულთა ოჯახებს მიეცა 769.096 მანეთი. 176.711 მანეთი პენსია მიიღეს სამამულო ომის ინვალიდებმა, ხოლო 342.665 მანეთი — შრომის პენსიონერებმა. ერთდროული დახმარების სახით გაცემულია 24.000 მანეთი.

პირუტყვის ახალი სადგომები

ამ დღეებში სოფელ მაიაკოვსკის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობამ მეღორეობის ფერმისათვის დაამთავრა 44 სულის ტევადობის ახალი სადგომის აგება.

მეღორეობის ფერმისათვის ახალი სადგომი ააგეს აგრეთვე სოფელ როკითის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში. მალე სოფელ წითელიხევის ვოროშილოვის სახელობის, ფერსათის მახარაძის სახელობის და როხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებს ექნებათ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის ახალი ბინები. თვითეული ბინა 100 სულ პირუტყვს დაიტევს.

ახალი მაღაზია

რაიონის ცენტრში გაიხსნა ახალი მაღაზია, რომელსაც აქვს ტანსაცმლის, ქსოვილების, ხოჯახო ნივთების და გალანტერიის განყოფილებები. მაღაზია კეთილმოწყობილია და ახალსლის სიუხვით კარგ მომსახურებას უწევს მომხმარებლებს.

ღვინის ქარხნები

სოფელ ობჩაში დამთავრებულია და 1 ოქტომბერს დაიწყებს მუშაობას ღვინის ახალი ქარხანა.

ქარხნის მთავარ კორპუსში მოთავსებულია ადმინისტრაცია, ღვინის სარდაფი, ყურძნის საწური, ღვინის გადასამუშავებელი, კასრების სარეცხი განყოფილებები და ლაბორატორიები.

ქარხნის ახლოს აშენდა ორი საცხოვრებელი სახლი სპეციალისტებისა და მუშებისათვის, აგრეთვე კეთილმოწყობილი კლუბი, ამბანო და სასადილო.

ოქტომბერში დამთავრდება სოფელ წითელიხევის ღვინის ქარხნის მშენებლობა. ორივე ქარხანა 155 ათას დეკალიტრ ღვინოს დაიტევს.

ჭრა-კერვის სკოლა

რაიონულ კულტურის სახლთან არსებობს ჭრა-კერვის სკოლა, რომელშიც ჩაბმულია 36 დისასახლისი. ახლახან სკოლა წარმატებით დაამთავრა 16 ქალმა. მეორე ჯგუფის გამოშვება მოხდება მიმდინარე წლის დეკემბერში

დ. ჩუბინიძე,

მაიაკოვსკის რაიონულ გაზეთ „წითელი დროშის“ რედაქტორი.

ორი რაიონის მევენახეთა შეჯიბრება

ზესტაფონელთა დელეგაცია გურჯაანში

გურჯაანი. (საკ. კორ.). მევენახეობის განვითარებისათვის ჩვენი რესპუბლიკის ორი რაიონის — გურჯაანისა და ზესტაფონის მევენახეთა სოციალისტური შეჯიბრება სამაგალითო ტრადიციად იქცა. ამან კიდევ უფრო აამაღლა ორივე რაიონის მშრომელთა პასუხისმგებლობა ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანისათვის.

განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავეს წელს. შრომისმოყვარე ადამიანებს არ დაუზოგავთ ზრუნვა, ცოდნა და გამოცდილება იმისათვის, რომ ყურძნის უხვი მოსავალი მიეღოთ. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ორივე რაიონის მევენახეები ერთმანეთს სისტემატურად უზიარებდნენ ვენახების მოვლა-დამუშავების მოწინავე გამოცდილებას, რაც მათ მრავალი წლის განმავლობაში შეიძინეს.

სექტემბრის დასაწყისში გურჯაანელ მევენახეთა დელეგაცია ეწვია ზესტაფონს.

ამ დღეებში გურჯაანელებს ესტუმრნენ ზესტაფონელები. დელეგაციას ხელმძღვანელობდა კომუნისტური პარტიის ზესტაფონის რაიკომის მდივანი ამხ. ზ. კიკნაძე. სტუმრებმა დაათვალიერეს გურჯაანის, ვერისციხის, ჩუმლაყის, ვაზისუბნის, შრომის და სხვა კოლმეურნეობათა ვენახები, მუყუზნისა და კარდანახის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობები. სტუმრებზე განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება მოახდინა სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის, გურჯაანის ორჯონიკიძის სახელობისა და ვერისციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობების მზრუნველობით დამუშავებულმა ვენახებმა, სადაც რთვლის პირველ დღეებში საშუალოდ ჰექტარზე 150-160 ცენტნერი ყურძენი მიიღეს.

გურჯაანელთა ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა აგრეთვე სოციალისტურ შეჯიბრებას სასოფლო საბჭოებს შორის.

— დღეს საკმარისი აღარ არის მარტო ვენახების დამუშავების გაუმჯობესებისა და უხვი მოსავლის მოყვანისათვის ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებს შორის მოწყობილი სოციალისტური შეჯიბრება, — განაცხადა გურჯაანის რაიონის სოფელ შრომის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ზ. გოჩიაშვილმა. — ასეთივე შეჯიბრება უნდა გავაჩაღოთ სასოფლო საბჭოებს შორის — მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის.

სტუმრებმა მოიწონეს წინადადება და სურვილი გამოთქვეს გააჩაღონ შეჯიბრება სასოფლო საბჭოებს შორის.

ზესტაფონელმა მევენახეებმა მეზობელ რაიონში დაათვალიერეს აგრეთვე თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, წინანდლის საბჭოთა მეურნეობა და ა. ჭავჭავაძის მუზეუმი, ყვარელში ინახულეს დიდი ქართველი პოეტის ილია ჭავჭავაძის სახლი-მუზეუმი.

დ. გულისაშვილი,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

რატომ არ ექცევა ყურადღება მეგოსტნეობის განვითარებას?

რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე, რაიკომის პლენუმებზე, აქტივის კრებებსა თუ თათბირებზე არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ კოლმეურნეობები უყურადღებობას იჩენენ მებოსტნეობის განვითარების საქმეში, რის გამოც პირველ რიგში ქ. მახარაძის მცხოვრებნი, საწარმოთა და დაწესებულებათა მუშები და მოსამსახურეები, საზოგადოებრივი კვების ობიექტები მწვავედ განიცდიან ბოსტნეულის ნაკლებობას.

მაგრამ ამ კრიტიკულ შენიშვნებს ყურადღებას არავინ არ აქცევდა. რაისაბჭოს აღმასკომი და მისი მუშაკები უგულებელყოფდნენ მებოსტნეობას, მთელი რიგი კოლმეურნეობები სრულებით არ მისდევდნენ მებოსტნეობას, ზოგიერთი კი მოვალეობის მოხდის მიზნით ნახევარ ან ერთ ჰექტარ ნაკვეთს გამოყოფდა და ამით მთავრდებოდა ყველაფერი. კვალსასათბურე და სასათბურე მეურნეობის განვითარებისათვის არავინ იწუხებდა თავს.

ამიერიდან ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელია. მით უმეტეს, რომ რაიონის ყველა კოლმეურნეობას საუკეთესო პირობები აქვს მებოსტნეობის განვითარებისათვის. ამაზე ნათლად მეტყველებს მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილება. მელექედურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე კ. ბილიხოძე) ერთ-ერთი მოწინავეა. აქ ყოველწლიურად ჰექტარზე საშუალოდ 4,5-5 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოჰყავთ. ჩაის კულტურასთან ერთად კოლმეურნეობა დიდ ყურადღებას აქცევს მებოსტნეობას. კოლმეურნეობას 4 ჰექტარზე უთესია ბოსტნეული კულტურები. მათი მოვლა-პატრონობა მინდობილი აქვს სპეციალურ რგოლს, რომელსაც ი. ხინთიბიძე ხელმძღვანელობს. მელექედურელი მებოსტნეები გულმოდგინედ ამუშავებენ ნიადაგს, შეაქვთ ორგანული სასუქი, დიდ ყურადღებას აქცევენ საუკეთესო თესლის მომზადებას, სპეციალურ სათბურებში ადრეულად გამოჰყავთ ბოსტნეულის ჩითილი და სხვ. ყოველივე ამის გამო ისინი შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ. საკმარისია აღინიშნოს, რომ ჰექტარზე საშუალოდ მოჰყავთ 130 ცენტნერი პამიდორი, 120 ცენტნერი კიტრი, 100 ცენტნერამდე კომბოსტო და ამით მნიშვნელოვნად აჭარბებენ მოსავლიანობის დაწესებულ გეგმებს. ბოსტნეული კულტურები წლიურად კოლმეურნეობას 20-25 ათას მანეთ შემოსავალს აძლევს.

მებოსტნეობის განვითარების საქმეში ასეთივე წარმატებები აქვს სოფელ მახარაძის კოლმეურნეობას.

მებოსტნეობის განვითარებისათვის საუკეთესო პირობებია ზვანის, ლაშის, ბოხვაურის, მაკვანეთის, ლიხაურის, ჭანიეთის, შემოქმედის, წითელმთის, დვაბზუს, ცხემლისხიდის, გურიანთის, მერიის და სხვა კოლმეურნეობებში. მაგრამ მებოსტნეობა მათთან სათანადო პატივისცემით არ სარგებლობს.

პარტიის მახარაძის რაიკომმა, რაისაბჭოს აღმასკომმა სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებიდან და სხვა დარგებთან ერთად ფართოდ განავითარონ მებოსტნეობა.

ვ. ჯაფელი,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ფართო მოხმარების საქონელი სოფელს

საშენი მასალები

სოფლად დიდი მოთხოვნილებაა სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალებზე. „ცეკავშირმა“ 8 თვის განმავლობაში სოფელს მიაწოდა 5 მილიონი ცალი შიფერი, 600 ათასი კვადრატული მეტრი ტოლი, 13 ათასი ტონა ცემენტი.

ამ დღეებში შიფერი დიდი რაოდენობით გაეგზავნა აჭარის ასს რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონებს, აგრეთვე ახალციხის, გურჯაანის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, მახარაძის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს და სხვა რაიონების კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს, ხოლო ცემენტი სექტემბერში გაეგზავნა რესპუბლიკის 30 რაიონს. სოფლად შეზიდულია 216 ტონა სახურავი თუნუქი, სავსებით დაკმაყოფილებულია მოსახლეობის მოთხოვნილება საღებავებზე, მინაზე და ყველა სახის სამშენებლო ლურსმანზე.

წლის ბოლომდე საკოლმეურნეო სოფელი კიდევ მიიღებს 4 მილიონ ცალ შიფერს, 500 ათას კვადრატულ მეტრ ტოლს, 12 ტონა ცემენტს და სხვ.

ავეჯი

მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებასთან დაკავშირებით კოლმეურნე გლეხობა მოითხოვს ძვირფას, ლამაზ ავეჯს. წელს სოფელმა მიიღო 4 მილიონამდე მანეთის ავეჯი — სასადილო, საწერი და სასტუმრო ოთახის სხვადასხვა სახის მაგიდები, წიგნისა და ტანსაცმლის კარადები, ბუფეტები, ხის ძვირფასი საწოლები, გრეხილი და სადურგლო სკამები და სხვ. წლის ბოლომდე სოფლად გაიგზავნება კიდევ 3 მილიონი მანეთის ავეჯი.

კულტსაქონელი

წელს კოლმეურნე გლეხობამ შეიძინა 461 ცალი პიანინო, 5.608 საკერავი მანქანა, 6.707 ცალი რადიომიმღები და დიდძალი რადიოსაქონელი, 6 ათასზე მეტი პატეფონი, 1,5 მილიონი მანეთის ფოტოაპარატები და ფოტოსაქონელი.

„ცეკავშირი“ ვარაუდობს წლის ბოლომდე სოფლად გაყიდოს 200-მდე პიანინო, 2.700 ცალი საკერავი მანქანა, 1.800 ცალი რადიომიმღები, 5 ათასი ცალამდე მოტოციკლი, რეპროდუქტორები.

უნდა აღინიშნოს, რომ სოფლად გაგზავნილი ძვირფასი ავეჯისა და პიანინოს რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას.

ე. მამალაძე.

საკოლმეურნეო სოფლების ელექტროფიკაცია

მახარაძე. (საკ. კორ.). რაიონის ბევრ სოფელს ენერგორესურსების გამოყენების საუკეთესო პირობები აქვს. საბჭოთა მთავრობის დახმარებით კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ 1935 წლიდან გაჩაღდა საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. რაიონში ამჟამად შვიდი სასოფლო ჰიდროელექტროსადგური მუშაობს. გარდა ამისა, მაკვანეთისა და წითელმთის კოლმეურნეობები ელექტროშუქს იღებენ მახარაძის რაიონული ქვესადგურიდან. სულ ამჟამად რაიონის 19 საკოლმეურნეო სოფელი უზრუნველყოფილია ელექტროგანათებითა და იაფი საწარმოო ელექტროენერგიით.

ახალი მსოფლიო ომის საფრთხის თავიდან აცილებისა და საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის ამხ. ა. ი. ვიშინსკის სიტყვის დასასრული

(დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტის“ № 226).

დასავლეთი ევროპა მძიმე დღეებს განიცდის. ამას ერთსულოვნად აღნიშნავდნენ, მაგალითად, საქმიანი წრეების წარმომადგენლები საერთაშორისო სავაჭრო პალატის კონგრესზე, რომელიც 1953 წლის მაისში გაიმართა ვენაში და რომელშიც მონაწილეობა მიიღო 35 ქვეყნის 1.000-ზე მეტმა დელეგატმა. ყველა ისინი უჩიოდნენ შექმნილ მდგომარეობას და აღნიშნავდნენ, როგორც „უოლ-სტრიტ ჯორნელი“ იუწყება, რომ ნაკლებად საიმედოა განსაკუთრებით მათი შესაძლებლობანი ვაჭრობის გაფართოებისა, რადგან დასავლეთევროპელები ამჟამად უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე წინათ, დამოკიდებული არიან ამერიკის შეერთებულ შტატებზე. ზედმეტი არ იქნება აღინიშნოს, რომ იმავე „უოლ-სტრიტ ჯორნელის“ ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა კონფერენციაზე ყოველი ღონე იხმარა, რათა გაეფანტა შიში, რომელიც გამეფებული იყო კონფერენციაზე, განაცხადა რა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში თითქოს ყოველივე აყვავება. „მაგრამ ამ ცდებს, — დასძენს „უოლ-სტრიტ ჯორნელი“, — არავითარი წარმატება არ ჰქონია“.

ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის საბჭოს აპრილის სესიაზე წელს განსაკუთრებით უსვამდნენ ხაზს, როგორც პირველი რიგის ამოცანას, იმას, რომ საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს ერთისა და იმავე დროს, როგორც სესიის კომუნიკეშია ნათქვამი, ამ ბლოკის მტკიცე, ეროვნული ეკონომიკის განვითარება და მისი შეიარაღებული ძალების გადიდება. მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს ურთიერთგამომრიცხველი ამოცანებია. როგორც ცხოვრებამ დაგვანახვა, ერთი ამოცანა გამორიცხავს მეორეს: ან ეროვნული ეკონომიკის განმტკიცება, რაც მოითხოვს გამალებულ შეიარაღებაზე ხელის აღებას, ან გამალებული შეიარაღება, რაც გამორიცხავს ეროვნული ეკონომიკის განმტკიცების შესაძლებლობას, თუ ეროვნულ ეკონომიკად არ მივიჩნევთ მხოლოდ საჭურვლის წარმოებას, მრეწველობის მილიტარიზაციასა და სხვ.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების არადამაკმაყოფილებელ ეკონომიურ მდგომარეობას ცხადყოფს აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის მიერ ამას წინათ გამოცემული „ევროპის ეკონომიური მდგომარეობის მიმოხილვა“.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმოხილვაში სერიოზული შეცდომებია და იქ შეტანილია მთელი რიგი არასწორი ფაქტები, რომლებიც წარმოადგენენ ტენდენციურ დამახინჯებას, არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს ამ მიმოხილვის დადებით მხარესაც. საინტერესოა, კერძოდ, მიმოხილვის მე-2 თავი და განსაკუთრებით მისი ის ნაწილი, რომლის სათაურია „ევროპის დაყოფა“.

აქ მოყვანილია მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი დებულებები: პირველი — მსოფლიო ეკონომიკამ მთელ ომისშემდგომ პერიოდში განიცადა ცვლილებები, რომლებსაც, როგორც მიმოხილვა აღიარებს, არახელსაყრელი შედეგები მოჰყვა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში; მეორე — აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების, მათ შორის სსრ კავშირის, მდგომარეობა სულ სხვანაირი იყო, რის შედეგად „დასავლეთ ევროპის ქვეყნების ზარალი, — მომყავს ადგილი მიმოხილვიდან, — გადაიქცა მოგებად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის“; მესამე — აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა შეძლეს თავიდან აეცილებინათ, როგორც ნათქვამია მიმოხილვაში, მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია კერძო ვაჭრობის კონტროლთან დასავლეთ ევროპის ქვეყნებში; ამასთან მათ ჰქონდათ თავიანთი საგარეო-სავაჭრო გარიგებათა უშუალოდ რეგულირების საშუალება მათი დაბალანსების მიზნით; მეოთხე — აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა მიიღეს სარგებლობა აგრეთვე როგორც სოფლის მეურნეობისა და მომპოვებელი მრეწველობის პროდუქციის მიწოდებლებმა დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის.

მიმოხილვიდან ჩანს, რომ სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ეკონომიური ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს და, კერძოდ, ეკონომიური ბლოკადის ღონისძიებებს, არათუ არ მოჰყოლია ის შედეგები, რომლებსაც ბლოკადის ორგანიზატორები მოელოდნენ, არამედ სულ საწინააღმდეგო შედეგი მოჰყვა.

სსრ კავშირის, ჩინეთისა და ევროპის სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების ეკონომიურმა ბლოკადამ ხელი შეუწყო ძალოდ იმას, რომ ეს ქვეყნები ეკონომიურად შეკავშირდნენ და მოაწყეს ეკონომიური თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება.

რაც შეეხება არახელსაყრელ ცვლილებებს მსოფლიო ეკონომიკაში მთელ ომისშემდგომ პერიოდში, რაც იძულებული არიან აღიარონ მიმოხილვაშიც, ეს ცვლილებები სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერია, განპირობებულია ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის მონაწილე სხვა ქვეყნების პოლიტიკის მთელი მიმართულებით. ეს პოლიტიკა ექვემდებარება სამხედრო მიზნებს, რომლებიც ამ ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითად ნაწილს ნთქამენ.

ოფიციალური საბიუჯეტო მონაცემებით, სამხედრო ხარჯების წილი ამჟამად შეადგენს: ამერიკის შეერთებულ შტატებში — ბიუჯეტის მთელი გასავლის ნაწილის 73 პროცენტს, ინგლისში — 42 პროცენტს, საფრანგეთში — 33 პროცენტს. ამერიკის შეერთებული შტატების სენატის ასიგნობათა კომისიის მიერ მოწონებული კანონპროექტის თანახმად სამხედრო მიზნებისათვის 1954 წელს გათვალისწინებულია 34,5 მილიარდი დოლარი. ამ ასიგნობებს უნდა მიემატოს წარსულ წლებში დაუხარჯავად დარჩენილი ასიგნობები, რაც სულ შეადგენს 100 მილიარდამდე დოლარს. ამ ბიუჯეტების მთელი სტრუქტურა ცხადყოფს მათს ძირითად მიმართულებას — აგრესიული გეგმების განხორციელების ღონისძიებათა დაფინანსებას. ა. წ. 10 ივნისს მინეაპოლისის საავაჭრო პალატაში წარმოთქმულ სიტყვაში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ ფედერალური მთავრობის მიერ დახარჯულ ყოველ 3 დოლარში 2 დოლარი ხმარდება სამხედრო მიზნებს. ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის 14-ვე სახელმწიფოს სამხედრო ხარჯებმა 1952-53 საფინანსო წელს მიაღწია 63 მილიარდ დოლარს ნაცვლად 1950 წლის 18 მილიარდი დოლარისა.

უდიდესი სამხედრო ასიგნობების აუცილებლობა სენატის კომისიაში იმით დაასაბუთეს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაიფუშება „ურთიერთ უშიშროების უზრუნველყოფის“ მთელი პროგრამა, რომ დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყანა, ვერ გაუძლებს რა სამხედრო ხარჯების სიმძიმეს, შეეცდება „მარტოდ იაროს“, სხვანაირად რომ ვთქვათ, უარს იტყვის შემდგომ მონაწილეობაზე სამხედრო პროგრამის განხორციელებაში, რომელიც მას თავს მოახვიეს აშკარა აგრესიული მიზნებით. მართლაც, გადასახადების სიმძიმე ამ ქვეყნებში, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, აუტანელი გახდა. გადასახადების გზით ამერიკის შეერთებულ შტატებში 1952 წელს სახელმწიფოს მიჰქონდა მოსახლეობის შემოსავლის 30 პროცენტი, საფრანგეთში — 39 პროცენტი, ინგლისში — 42 პროცენტი. არაპირდაპირი გადასახადების წილმა, რომლებიც განსაკუთრებით საგრძნობია მოსახლეობის მცირეხელფასიანი ფენების ბიუჯეტისათვის, მიაღწია ამერიკის შეერთებულ შტატებში — 40 პროცენტს, ინგლისში — 44 პროცენტს, საფრანგეთში — 75 პროცენტს, იტალიაში — 84 პროცენტს.

გადასახადების სიმძიმე იმდენად გადიდდა, რომ კონგრესის ბევრი წევრი, როგორც ამას წინათ იუწყებოდა ამერიკის პრესა, გამოთქვამს აზრს, რომ სამხედრო ხარჯებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში მიაღწია ისეთ დონეს, როცა ბიუჯეტი არ შეიძლება დაბალანსდეს უგადასახადოდ, რომლებიც სხვა არა არის რა, თუ არ ქონების კონფისკაცია.

ხარჯების დიდი წილი გათვალისწინებულია სხვის ტერიტორიებზე არსებული სამხედრო ბაზების გაფართოებისა და ახალი ბაზების მშენებლობისათვის და ახალი, მათ შორის ატომური და წყალბადის, იარაღის წარმოებისათვის.

ეს საკითხი გამუდმებით დგას გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში. ამ საკითხს მართლაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. გამალებული შეიარაღება არათუ არ მცირდება, არამედ კიდევ უფრო მეტი მასშტაბით გრძელდება, ამასთან მასობრივი მოსპობის იარაღი ამ მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების უკანასკნელ შედეგებთან დაკავშირებით სულ უფრო დამანგრეველი და საშიში ხდება მრავალი მილიონი ადამიანისათვის.

რაც შეეხება სამხედრო ბაზებს, ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებს მსოფლიოს 49 ქვეყანაში აქვთ თავიანთი საავიაციო ბაზების ქსელი. სხვის ტერიტორიებზე 27 ქვეყანაშია 2 მილიონამდე ამერიკელი ჯარისკაცი და სამხედრო მოსამსახურე.

უდიდეს სამხედრო ხარჯებს იწვევს გამალებული შეიარაღება, რომელიც სულ უფრო ძლიერდება. იგი მიმართულია მშვიდობისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ, მაგრამ აღაფრთოვანებს ამერიკელ მონოპოლისტებს ოქროს ახალი ნაკადის მოლოდინში. როგორც ამ საკითხზე სტატისტიკური ცნობებიდან ჩანს, ამერიკის 416 მონოპოლიის მოგება 1953 წლის მე-2 კვარტალში 25 პროცენტით გადიდდა 1952 წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით. ეჭვი არ არის, ასეთი მოგება ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეულ გავლენიან წრეებს სტიმულს აძლევს იმისათვის, რომ განაგრძონ და კიდევაც გააძლიერონ გამალებული შეიარაღება. სამაგიეროდ გამალებული შეიარაღება მძიმე ტვირთად აწვება, როგორც ზემოთ უკვე იყო ნათქვამი, გადასახადის გადამხდელებს, მოსახლეობას.

გენერალური ასამბლეის წინაშე ამ სესიაზე, ისევე როგორც წინა სესიებზე, დგას ისეთი განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანა, როგორიც არის ზომების მიღება იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ახალი მსოფლიო ომის საფრთხე და შენელდეს საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობა.

საბჭოთა კავშირის დელეგაცია პირველად რიდი აყენებს გენერალური ასამბლეის წინაშე ახალი მსოფლიო ომის საფრთხის წინააღმდეგ ზომების მიღების საკითხს.

გენერალური ასამბლეის წარსულ სესიებზე ჩვენი დელეგაცია აღნიშნავდა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მოეთხოვება განსაკუთრებით ენერგიული ღონისძიებანი, რათა გამოიყენოს მსოფლიო იმ საშიში მდგომარეობიდან, რომელშიც მას ითრევენ დანაშაულებრივი ფანდები აგრესიული წრეებისა, რომლებიც ესწრაფვიან ახალი ომის გაჩაღებას, ესწრაფვიან საერთაშორისო ვითარების გამწვავებას.

ჩვენ ვამტკიცებდით, რომ საჭირო იყო ყველა ღონისძიების განხორციელება, რათა უზრუნველგვყოო ხალხთა მშვიდობა და უშიშროება, ამასთან დაუყოვნებლივ მოგვეღო ბოლო ომისათვის, რომელიც თავს მოახვიეს კორეელ ხალხს და რომელიც ახალი მსოფლიო ომის საფრთხეს ქმნიდა.

ჩვენ მტკიცედ მოვითხოვდით ატომური იარაღის დაუყოვნებლივ და უუთოდ აკრძალვას და ამ აკრძალვის შესრულებისადმი მტკიცე საერთაშორისო კონტროლის დაწესებას, იმას, რომ ბოლო მოეღოს გამალებულ შეიარაღებას, შეწყდეს სხვის ტერიტორიებზე ახალი სამხედრო ბაზების მშენებლობა და სხვისი ტერიტორიებიდან გაყვანილ იქნან უცხოეთის ჯარები.

ასეთი წინადადებანი ჩვენ შეგვქონდა გენერალურ ასამბლეაში მაშინაც, როცა კორეაში ომი იყო. ჩვენი წინადადებების მოწინააღმდეგენი ამბობდნენ და ეს ჩაწერილია, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დეკლარაციაში, რომ შეიარაღების შემცირების პროგრამა ძალაში ვერ შევა, სანამ კორეაში ომია, და კორეაში ომის შეწყვეტას სახავდნენ შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების წინასწარ პირობად. მაშინ ისინი აყენებდნენ სხვა წინასწარ პირობასაც: საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელმა სახელმწიფო მდივანმა ასამბლეაში თქვა, რომ „პირდაპირი კავშირია განიარაღების სისტემის განხორციელების შესაძლებლობასა და საერთაშორისო ტემპერატურას შორის“. მან თქვა, რომ განიარაღების საკითხს გადაჭრა შესაძლებელი იქნება, თუ დაიწევს პოლიტიკური ატმოსფეროს ტემპერატურა.

ახლა არსებითად იმასვე იმეორებს ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი სახელმწიფო მდივანი, რომელიც აცხადებს, რომ შეიარაღების შემცირების ამოცანა არ შეიძლება გადაწყდეს — მან თქვა „საბოლოოდ გადაწყდეს“ — ამჟამად არსებულ უნდობლობის პირობებში. სხვათა შორის, ამას მოითხოვდა დაჟინებით ჯერ კიდევ 1928 წელს საფრანგეთის დეპუტატთა პალატის უცხოეთის კომისიის თავმჯდომარე პოლ ბონკური, რომელმაც წამოაყენა თავისი ფორმულა: „ჯერ დამშვიდება, ხოლო შემდეგ განიარაღება“.

ასე ამბობდა და ამბობს ყველა მოწინააღმდეგე იმ წინადადებებისა, რომელთა მიზანია შეიარაღების შემცირება, საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილება, ხოლო ამავე დროს ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა არ დაუშვან საერთაშორისო ტემპერატურის დაწევა.

ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებანი შეიარაღების შემცირების საკითხზე, რომლებიც როგორც ყველას ახსოვს, ბ-ნმა ტრუმენმა წამოაყენა 1951 წელს, ამოიწურებოდა ისეთი ტექნიკური ღონისძიებებით, როგორიც არის სამხედრო ქონების ინვენტარული აღწერა, რასაც უნდა მოჰყოლოდა ეგრეთწოდებული შეიარაღების შემცირების სხვადასხვა სტადია, მაგრამ შეიარაღების ნამდვილ შემცირებაზე სიტყვაც არ თქმულა. ახლა, 2 წლის შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია კვლავ ცდილობს მთელი საქმე ამოწურის ტექნიკური მუშაობით და ამას უწოდებს შეიარაღების შემცირების „პრობლემის ტექნიკურ ანალიზს“.

„ჩვენ მიგვაჩნია, — თქვა ბ-ნმა დალესმა შეიარაღების შემცირების საკითხზე ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებათა შესახებ, — რომ მათ საფუძველი შექმნეს სწრაფი მოქმედებისათვის მაშინ, როცა საერთო ატმოსფეროს მიხედვით ეს შესაძლებელი გახდება“.

ეს უკვე ყველასთვის ცნობილი შენიშვნები იმისათვის არის საჭირო, რომ თავი აარიდონ იმ ღონისძიებათა განხორციელებას, რომელთა მიზანია შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების ნამდვილი შემცირება. საჭირო არ არის განსაკუთრებით აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებანი, რომლებთანაც ჩვენ უკვე გვქონდა საქმე გენერალური ასამბლეის წარსულ სესიაზე, სულაც ვერ დაედება საფუძვლად განიარაღების შემცირების საკითხის სერიოზულ განხილვასა და გადაწყვეტას.

ეს უნდა ითქვას აგრეთვე ატომური იარაღისა და ადამიანთა მასობრივი მოსპობისათვის განკუთვნილი სხვა საზეობათა იარაღის აკრძალვის საკითხზე შეტანილ წინადადებათა შესახებ. ბ-ნმა დალესმა საერთოდ ამჯობინა არაფერი ეთქვა ამ იარაღის შესახებ. ერთადერთი, რაც მან თქვა, ის იყო, რომ მეცნიერმა ფიზიკოსებმა იპოვნეს საშუალებანი, რომლებსაც შემდგომი განვითარების შემთხვევაში შეუძლიათ ალგავონ სიცოცხლე ამ პლანეტაზე, და კიდევ ის, რომ არ არსებობს პრობლემა, რომელიც შეედრებოდეს მოსპობისაგან ადამიანთა მოდგმის ხსნის ამ ცენტრალურ მსოფლიო პრობლემას.

თითქოს მით უფრო საჭირო იყო ასამბლეის წინაშე თავისი პროგრამის ჩამოყალიბება ასეთ საკითხზე, რაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და სასარგებლო იქნებოდა საქმისათვის, ვიდრე აქ საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისადმი მტრული ხასიათის ყოველგვარი მონაჭორისა და ზღაპრების გავრცელება და ყოველგვარი პასკვილის თხზვა.

კორეაში საომარი მოქმედების შეწყვეტა დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების საქმეში. კორეაში დაზავებაზე შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ მთელი მსოფლიოს მრავალ მილიონობით ადამიანს მეტი იმედი მიეცა იმისა, რომ შეიძლება მშვიდობიანად მოწესრიგდეს არა მარტო კორეის საკითხი, არამედ აგრეთვე გამოინახოს სხვა სადავო და გადაუწყვეტელ საკითხთა მოწესრიგების გზა.

ამასთან დაკავშირებით იქმნება უფრო ხელსაყრელი პირობები შემდგომ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რომელთა მიზანია ახალი მსოფლიო ომის საფრთხის თავიდან აცილება. ეს ღონისძიებანი აუცილებლად საჭიროა. საჭიროა გენერალურმა ასამბლეამ გამოაცხადოს ატომური, წყალბადისა და ადამიანთა მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის უუთოდ აკრძალვა.

იმ წინადადებებით, რომლებსაც შეერთებული შტატები და მათი პარტნიორები დღემდე უპირისპირებდნენ საბჭოთა კავშირს ამ მოთხოვნას, მთელი საქმე ამოიწურებოდა ბარუხის გეგმით, რომელიც სრულიად არ ითვალისწინებს არავითარ აკრძალვას და არ შეიძლება მისაღები იყოს იმისთვის, ვინც ნამდვილად ესწრაფვის ატომური იარაღის უუთოდ აკრძალვას და ნამდვილი საერთაშორისო კონტროლის დაწესებას.

იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა კავშირი დაეუფლა ატომური და წყალბადის იარაღის წარმოების საიდუმლოებას, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატისა და სენატის ზოგიერთმა წევრმა მოითხოვა, როგორც პრესა იუწყება, შემდგომი გამალებული შეიარაღება და, კერძოდ, სტრატეგიული სამხედრო-საჰაერო ძალების გაძლიერება.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, უადგილოდ არ მიმაჩნია მოგაგონოთ მთავრობის 20 აგვისტოს ცნობა საბჭოთა კავშირში წყალბადის ბომბის გამოცდის შესახებ და საკდესის 18 სექტემბრის ცნობა საბჭოთა კავშირში ახალი ტიპების ატომური ბომბების გამოცდის შესახებ. მთავრობის 20 აგვისტოს ცნობაში აღნიშნულია:

„უცხოეთის ზოგიერთი წრეები, რომლებიც თავის პოლიტიკაში იმედს ამყარებდნენ ჯერ ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიაზე ატომური ბომბის, ხოლო შემდეგ წყალბადის ბომბის მფლობელობაში, ცდილობენ დააშინონ ხალხები იმ ფაქტით, რომ საბჭოთა კავშირი ფლობს წყალბადის იარაღის წარმოების საიდუმლოებას, და ამასთან დაკავშირებით გამოიწვიონ შეშფოთება, იყენებენ რა ამას გამალებული შეიარაღების გასაძლიერებლად“.

„საბჭოთა მთავრობას, — ნათქვამია ამ ცნობაში, — საჭიროდ მიაჩნია გაანაცხადოს, რომ, ისევე როგორც წინათ, ასეთი შეშფოთებისათვის არავითარი საფუძველი არ მოიპოვება.

საბჭოთა კავშირის უცვლელი პოლიტიკის შესაბამისად, რომლის მიზანია ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება, საბჭოთა მთავრობამ არაერთგზის მიმართა სხვა ქვეყნების მთავრობებს წინადადებით მოხდეს შეიარაღების მნიშვნელოვანი შემცირება და აიკრძალოს ატომური იარაღის და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობის იარაღის გამოყენება, რისთვისაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში დაწესდეს სასტიკი საერთაშორისო კონტროლი ამ აკრძალვისადმი.

საბჭოთა მთავრობა ახლაც მტკიცედ დგას ამ პოზიციაზე“.

საკდესის 18 სექტემბრის ცნობაში ნათქვამია, რომ უკანასკნელ კვირეებში, ატომის ენერგიის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმის შესაბამისად, საბჭოთა კავშირში მოეწყო რამდენიმე ახალი ტიპის ატომური ბომბის გამოცდა.

„სავსებით გასაგებია, — ნათქვამია ცნობაში“, — რომ მანამდე, სანამ ამერიკის შეერთებული შტატების პასუხისმგებელი წრეები უარყოფენ სსრ კავშირის მტკიცე წინადადებებს ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ, საბჭოთა კავშირი, ემყარება რა უშიშროების მოთხოვნებს, იძულებულია ყურადღება მიაქციოს ატომური იარაღის წარმოებას. ამასთან ერთად საბჭოთა კავშირი კვლავაც განახორციელებს ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების პოლიტიკას, ეცდება რა დადოს შეთანხმებანი სხვა ქვეყნებთან ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობის იარაღის უუთოდ აკრძალვის შესახებ, შეიარაღების მნიშვნელოვანი შემცირებისა და ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებისადმი მკაცრი საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ. ამასთან ერთად საბჭოთა კავშირში წარმოებს მუშაობა სამრეწველო მიზნებით ატომის ენერგიის გამოყენების დარგში. საბჭოთა კავშირს თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია მიაღწიოს იმას, რომ ატომის ენერგია ჩაყენებულ იქნას მშვიდობიანი პროგრესის საქმის სამსახურში“.

როგორც აღნიშნული განცხადებებიდან ჩანს, საბჭოთა კავშირი, ფლობს რა ატომური და წყალბადის იარაღის წარმოების საიდუმლოებას, კვლავ ცდილობს დადოს შეთანხმება სხვა სახელმწიფოებთან ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის უუთოდ აკრძალვის, შეიარაღების მნიშვნელოვანი შემცირებისა და ამ გადაწყვეტილების შესრულებისადმი მტკიცე საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ამასთანავე ასამბლეის განსაკუთრებული ყურადღება მივაპყროთ იმ განუწყვეტელ პროპაგანდას, რომლის მიზანია ხალხთა შორის მტრობისა და სიძულვილის გაღვივება და ახალი მსოფლიო ომის მომზადება. თუ რა ცინიზმამდე მიდის ხალხთა შორის მტრობისა და სიძულვილის ასეთი პროპაგანდა, ამაზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმ ფაქტის მიხედვით, როგორიც არის ის, რაც აქ თქვა ავსტრალიის დელეგატმა, რომელმაც გამოიყენა პროვოკატორების მიერ შეთხზული ციტატი, რომელიც ვითომდა ამოღებულია საბჭოთა სახელმწიფოს დიდი დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ნაწერებიდან. ამ ეგრეთწოდებული „ციტატის“ სიტყვები, რომლებსაც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს მიაწერენ, მთლიანად თავხედური ცილისწამება და სიცრუეა, რადგან ლენინს არასოდეს ამის მსგავსი არაფერი განუცხადებია და, რა თქმა უნდა, არც შეეძლო განეცხადებინა.

სტატიაში „რუსეთის რევოლუცია და სამოქალაქო ომი“, რომელიც 1917 წლის 29 სექტემბერს გამოქვეყნდა, ლენინი წერდა, რომ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება „ასიდან ოთხმოცდაცხრამეტი შანსის ალბათობით, **ზავს** მოიტანდა იმპერიალისტური ომის ნაცვლად“ ე. ი., წერდა სიტყვასიტყვით ლენინი, იგი „სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა **ასი ათასობით** ადამიანს... ეს... სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა **ნახევარ მილიონ** რუს ჯარისკაცს, რომლებიც ალბათ დაიღუპნენ 18 ივნისის ბრძოლებში“.

ამრიგად, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ამტკიცებდა, რომ სოციალიზმის გამარჯვება მაშინდელ რუსეთში სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა ასეულ ათასობით ადამიანს. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შინაურ სამოქალაქო ომში დაღვრილი სისხლის ვერავითარი ღვარი დაახლოებითაც ვერ შეედრება იმ ზღვა სისხლს, რაც რუსმა იმპერიალისტებმა დააყენეს 19 ივნისის შემდეგ, ხალხთა გამტანჯველი, უმაგალითოდ მძიმე და უაღრესად დანაშაულებრივი ომის მე-4 წელს, და მაშინ ივნისში კერენსკის მთავრობის მიერ მოწყობილი ავანტიურისტული შეტევის დროს.

ამ სტატიაში ლენინი 1917 წელს წერდა: „რუსეთის რევოლუციის საერთაშორისო მდგომარეობა... ისეთია, რომ სამოქალაქო ომში გამარჯვებული რუსეთის პროლეტარიატის მიერ სამართლიანი ზავის წინადადების წამოყენება მომასწავებელი იქნებოდა ასიდან ოთხმოცდაცხრამეტი შანსისა იმის სასარგებლოდ, რომ შესაძლებელია დროებითი ზავი და ზავი მოვიპოვოთ **კვლავ სისხლის მორევის დაუყენებლად**“.

აი რას ამბობდა და რას წერდა ნამდვილად ვ. ი. ლენინი, ჩვენი ხალხისა და სხვა იმ ხალხების დიდი ბელადი, რომლებიც კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის იბრძვიან. აქ წარმოგვიდგინეს აღმაშფოთებელი ვითომდა „ციტატა“. ეს ქნა ბ-ნმა კეზიმ. ეს ციტატი ლენინს არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს. აქვს ის, რაზეც ახლა ვილაპარაკე. მაგრამ იმას, რასაც კადრულობს ყოველი ჯურის გაიძვერა ადამიანი და პროვოკატორი, არ შეუძლია გამოიწვიოს გაკვირვება — ისინი ხომ პროვოკატორები არიან. მაგრამ თურმე აქ არიან დელეგატები, რომლებიც არ თაკილობენ თვითონაც გამოიყენონ საზიზღარი ცილისმწამებლური მონაჭორი, რითაც ისინი ბედავენ გამოვიდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ეს ზედმეტად ამტკიცებს იმას, თუ რა ბინძურ საშუალებებს ხმარობენ ისინი, ვინც ეწევა საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისადმი მტრობისა და სიძულვილის პროპაგანდას. ისინი არაფერს არ თაკილობენ. ამიტომ — მით უფრო ამიტომ — გადაჭრით უნდა დავგმოთ პროპაგანდა, რაც ზოგიერთ ქვეყანაში წარმოებს და რაც მიზნად ისახავს გაღვივოს მტრობა და სიძულვილი ხალხთა შორის და მოამზადოს ახალი მსოფლიო ომი. საჭიროა მოვუწოდოთ ყველა სახელმწიფოს მიიღონ ღონისძიებანი ასეთი პროპაგანდის აღსაკვეთად, რადგან იგი შეუთავსებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითად პრინციპებსა და მიზნებთან. ეს არის მეორე ამოცანა.

საბჭოთა კავშირი ითვალისწინებს, რომ სხვის ტერიტორიებზე სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზების შექმნა აძლიერებს ახალი მსოფლიო ომის საფრთხეს და იწვევს სახელმწიფოთა ეროვნული სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისათვის ძირის გამოთხრას, და საჭიროდ მიაჩნია ღონისძიებათა განხორციელება სხვის ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების სალიკვიდაციოდ. საბჭოთა კავშირი ამ ღონისძიებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მტკიცე მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში.

საბჭოთა კავშირი კვლავ აყენებს საკითხს, რომ საჭიროა ღონისძიებათა მიღება შეიარაღების შესამცირებლად და იმისათვის, რომ გამოცხადდეს ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის უუთოდ აკრძალვა, აგრეთვე დაწესდეს მტკიცე საერთაშორისო კონტროლი ამ აკრძალვის შესრულებისადმი და დაეკვალოს უშიშროების საბჭოს მიიღოს გადაუდებელი ღონისძიებანი იმ საერთაშორისო შეთანხმების განხორციელების მოსამზადებლად, რომელიც უზრუნველყოფს ასეთი კონტროლის დაწესებას.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად საბჭოთა დელეგაციას გენერალური ასამბლეის განსახილველად შემოაქვს შემდეგი რეზოლუციის პროექტი:

„გენერალური ასამბლეა აღნიშნავს, რომ კორეაში საომარი მოქმედების შეწყვეტა დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების საქმეში და რომ ამასთან დაკავშირებით უფრო ხელსაყრელი პირობები იქმნება შემდგომ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რომელთა მიზანია ახალი მსოფლიო ომის საფრთხის თავიდან აცილება.

ამავე დროს გენერალური ასამბლეა აღნიშნავს, რომ მთელ რიგ ქვეყნებში გამალებული შეიარაღება არათუ არ მცირდება, არამედ კიდევ უფრო დიდი მასშტაბით გრძელდება, ამასთან მასობრივი მოსპობის იარაღი, ამ მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების უკანასკნელ შედეგებთან დაკავშირებით, სულ უფრო დამანგრეველი და საშიში ხდება მრავალი მილიონი ადამიანისათვის.

ახალი მსოფლიო ომის საფრთხის შენელებისა და ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების მიზნით გენერალური ასამბლეა:

1. აცხადებს ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის უუთოდ აკრძალვას და ავალებს უშიშროების საბჭოს მიიღოს გადაუდებელი ღონისძიებანი, რათა მომზადდეს და განხორციელდეს საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც უზრუნველყოფს ამ აკრძალვის შესრულებისადმი და დაეკვალოს უშიშროების საბჭოს მიიღოს გადაუდებელი ღონისძიებანი იმ საერთაშორისო შეთანხმების განხორციელების მოსამზადებლად, რომელიც უზრუნველყოფს ასეთი კონტროლის დაწესებას.

2. ურჩევს უშიშროების საბჭოს ხუთ მუდმივ წევრს — ამერიკის შეერთებულ შტატებს, სსრ კავშირს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და ჩინეთს, რომლებსაც მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრებათ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის, ერთი მეესამედით შეამცირონ წლის განმავლობაში თავიანთი შეიარაღებული ძალები, და სამხედრო ხარჯების ტვირთის შემსუბუქების მიზნით ურჩევს უშიშროების საბჭოს უმოკლეს ვადაში მოიწვიოს საერთაშორისო კონფერენცია იმისათვის, რომ განხორციელდეს შეიარაღების შემცირება ყველა სახელმწიფოს მიერ;

3. აღიარებს, რომ სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე სამხედრო, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზების შექმნა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესია

ნიუ-იორკი, 23 სექტემბერი. (საკდესი). 22 სექტემბრის დღის პლენარულ სხდომაზე გენერალურმა ასამბლეამ განიხილა გენერალური კომიტეტის მოხსენება ორი დამატებითი პუნქტის შესახებ, რომლებიც საბჭოთა კავშირის დელეგაციამ წარადგინა, სახელდობრ — პუნქტისა „გენერალური მდივნის მემორანდუმი გენერალური ასამბლეის 1953 წლის 28 აგვისტოს მიღებული „C“ რეზოლუციის განხორციელების შესახებ“ და პუნქტისა „ახალი მსოფლიო ომის საფრთხის თავიდან აცილებისა და საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების ღონისძიებათა შესახებ“.

სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც დაასაბუთა, რომ საჭიროა ასამბლეის დღის წესრიგში შეტანილ იქნას პუნქტი „გენერალური მდივნის მემორანდუმი გენერალური ასამბლეის 1953 წლის 28 აგვისტოს მიღებული „C“ რეზოლუციის განხორციელების შესახებ“.

პოლონეთის, ბელორუსიის სსრ და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში გენერალური მდივნის მემორანდუმის შესახებ საბჭოთა წინადადების შეტანას.

პოლონეთის წარმომადგენელმა კაც-სუხმ აღნიშნა, რომ გენერალური ასამბლეა თავის მოვალეობას არ შეასრულებს, თუ იგი მხედველობაში არ მიიღებს და არ განიხილავს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ახალ წინადადებებს პოლიტიკური კონფერენციის საკითხზე. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ცალმხრივ გადაწყვეტილებათა თავს მოხვევის ცდებს წარმატება არ ექნება.

შეეხო რა ამერიკის წარმომადგენლის ლოჯის განცხადებას, რომ პოლიტიკურ კონფერენციას შეუძლია თვითონ გადაწყვიტოს მის მუშაობაში ნეიტრალური ქვეყნების მონაწილეობის საკითხი, კაც-სუხიმ განაცხადა, რომ ეს ბუნდოვანი დაპირება მანკვრია, რომელიც ნავარაუდევია იმისათვის, რომ შენიღბონ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეურიგებელი პოზიცია პოლიტიკური კონფერენციის საკითხში — პოზიცია, რომელიც სავსებით უგულებელყოფს აზიის ქვეყნების ინტერესებს.

ბელორუსიის სსრ წარმომადგენელმა კისელიოვმა აღნიშნა, რომ პოზიცია შეერთებული შტატებისა, რომლებიც დაჟინებით მოითხოვენ „ორი მხარის“ კონფერენციის მოწვევას, არ შეიძლება გამართლებულ იქნას და ეწინააღმდეგება დაზავების შესახებ შეთანხმებას. არ შეიძლება, განაცხადა კისელიოვმა, პოლიტიკური კონფერენციის გარეთ დავტოვოთ აზიის ისეთი ქვეყნები, როგორიც არიან ინდოეთი, ინდონეზია, პაკისტანი და ბირმა, რომლებიც დაინტერესებული არიან კორეის პრობლემისა და შორეული აღმოსავლეთის სხვა პრობლემების მშვიდობიანი გადაწყვეტით. არ შეიძლება მათი თვალსაზრისის უგულებელყოფა.

ჩეხოსლოვაკიის დელეგატმა დავიდმა თავის სიტყვაში ცხადყო, რომ „მრგვალი მაგიდის“ ტიპის კონფერენცია უზრუნველყოფს კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტის უკეთეს შესაძლებლობას. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინადადებათა მიზანი სწორედ ეს არის. დავიდმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად აზიის ისეთი ქვეყნების არ დაშვება, როგორიც არიან ინდოეთი, ინდონეზია, ბირმა და პაკისტანი, რომლებისთვისაც კორეის პრობლემის სწორ გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა აქვს, სრულიადაც არ შეუწყობს ხელს პოლიტიკური კონფერენციის წარმატებას.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლები წავიდნენ საბჭოთა კავშირის იმ წინადადების წინააღმდეგ, რომ დღის წესრიგში შეტანილ იქნას გენერალური მდივნის მემორანდუმი.

იუგოსლავიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი თავს შეიკავებს საბჭოთა წინადადების კენჭისყრის დროს, ამასთან აღნიშნა, რომ კორეის პრობლემის ყველა ასპექტი შეიძლება განხილულ იქნას გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში შეტანილი კორეის საკითხის განხილვის დროს.

საბერძნეთის დელეგატმა მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას.

შემდეგ კენჭი უყარეს გენერალური კომიტეტის მოხსენებას, რომელიც შეიცავს რეკომენდაციას — შეტანილ არ იქნას ასამბლეის დღის წესრიგში გენერალური მდივნის მემორანდუმი. რვა ქვეყნის — სსრ კავშირის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ინდონეზიის, ბირმისა და შვეიცის წარმომადგენლებმა ამ რეკომენდაციის წინააღმდეგ მისცეს ხმა. ათი ქვეყნის — ეგიპტის, ავღანეთის, საუდის არაბეთის, სირიის, ლიბანის, ეგიპტის, გვატემალის, არგენტინისა და იუგოსლავიის დელეგაციებმა კენჭისყრაში თავი შეიკავეს. ინდოეთის წარმომადგენელმა მონაწილეობა არ მიიღო კენჭისყრაში. 40 ქვეყნის, მათ შორის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგატებმა ხმა მისცეს კომიტეტის რეკომენდაციას (სე იგი სსრ კავშირის წინადადების წინააღმდეგ).

ამის შემდეგ გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად (ერთმა თავი შეიკავა) დაამტკიცა გენერალური კომიტეტის რეკომენდაცია, რომ ასამბლეის დღის წესრიგში შეტანილ იქნას და პოლიტიკურ კომიტეტს განსახილველად გადაეცეს საბჭოთა დელეგაციის მიერ წარდგენილი საკითხი „ახალი მსოფლიო ომის საფრთხის თავიდან აცილებისა და საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების ღონისძიებათა შესახებ“. ამით დამთავრდა გენერალური ასამბლეის სხდომა.

ნერუს გამოსვლა კარლამენტში საგარეო პოლიტიკის საკითხებზე

დელი, 23 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ინდოეთის საინფორმაციო ბიურო იუწყება, ამ დღეებში ინდოეთის პარლამენტის სახალხო პალატაში ინდოეთის მთავრობის საგარეო პოლიტიკის საკითხებისადმი მიძღვნილი სიტყვა წარმოთქვა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ.

თავისი სიტყვის დასაწყისში ნერუმ განაცხადა, რომ თანამედროვე მსოფლიოში არსებობს ორი დიდმნიშვნელოვანი პრობლემა ტერიტორიული თვალსაზრისით — გერმანიის მომავალი და შორეული აღმოსავლეთის მომავალი.

შეეხო რა ლაპარაკს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების გადასინჯვის შესახებ, ნერუმ თქვა, რომ არის ტენდენცია გადაქცეულ გაერთიანებული ერების ორგანიზაციად არა მსოფლიოს ყველა ერის ორგანიზაციად, არამედ რჩეული ერების, რამდენიც უნდა იყვნენ ისინი, ორგანიზაციად.

ნერუმ თქვა, რომ ინდოეთი ესწრაფოდა რაც შეიძლება უფრო ფართო თანამშრომლობას. ინდოეთის როლი თანამედროვე მსოფლიოში გაიზარდა ერების სხვადასხვა ორგანიზაციაში მისი მოღვაწეობის გამო, საქმე ეხებოდა არაბთა და აზიის ქვეყნების ჯგუფს თუ ბრიტანეთის ერების გაერთიანებას და სხვ.

შეეხო რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეებს ქაშმირში, ნერუმ თქვა, რომ, თუმცა მან გაიღაშქრა მათთვის ხელაღებით წაყენებულ ბრალდებათა წინააღმდეგ, მაგრამ ფაქტად რჩება, რომ ცალკეულ შემთხვევებში უკანასკნელი 2 ან 3 წლის განმავლობაში „ჩვენ ვამჩნევდით საძრახის მოქმედებას, ვაცხადებდით პროტესტს და ვიღებდით ღონისძიებებს. ჩვენ ზოგიერთი მეთვალყურე გამოვაცხადეთ პერსონა ნონ გრატად, და ისინი გაიწვიეს...“

შეეხო რა ჩინეთის წარმომადგენლობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, პრემიერ-მინისტრმა თქვა: „განა შეუძლია ვინმეს თქვას, რომ კუნძულ ფორმოზის ახლანდელი მთავრობა არის ჩინეთის წარმომადგენელი? განა შეიძლება ფორმოზის მთავრობის მიერ ნაკისრი რაიმე ვალდებულება ფაქტიურად განხორციელდეს ჩინეთში? მაშასადამე, სრულიად არარეალური და ხელოვნური იქნება იმის მტკიცება, რომ ჩინეთი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ან უშიშროების საბჭოში შეიძლება წარმოადგინოს ვინმემ, ვისაც არ შეუძლია ილაპარაკოს ჩინეთის სახელით, ვისაც არაფრის გაკეთება არ შეუძლია ჩინეთში, ვისაც არ შეუძლია გავლენა მოახდინოს ჩინეთზე და, სულ ბეერი, შეუძლია მხოლოდ გამოხატოს თავისი დიდი უკმაყოფილება ჩინეთით. ეს არის ერთ-ერთი ძირითადი მომენტი, მიმართული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პოლიტიკის წინააღმდეგ. საკითხი ის კი არ არის, მოგვწონს თუ არ მოგვწონს ეს... ამას წინათ იუწყებოდნენ, რომ ზოგიერთი დიდი სახელმწიფონი შეთანხმდნენ, რომ ჩინეთის მიღების საკითხი არ უნდა იქნას განხილული მიმდინარე წელს ან ამ სესიაზე“. ნერუმ თქვა, რომ იგი წინააღმდეგი არ არის ისეთი მოქმედებისა, რომელიც ნაკლებ კონფლიქტებს გამოიწვევდა, თუმცა ამისათვის, შესაძლოა, საჭირო იქნას გარკვეული დრო. „მაგრამ, ჩემი აზრით, სურთ სამუდამოდ დაამკვიდრონ ის, რაც აშკარად არ არის სწორი, და ცდილობენ მთელი ციხედარბაზი ააგონ ხელოვნურ საძირკველზე; პოლიტიკური თვალსაზრისით ეს საერთაშორისო წრეები, როგორც ჩანს, სულ უფრო შორდებიან ლოგიკასა და გონიერებას...“

შეეხო რა კონტრწინადადებებს კორეაში პოლიტიკური კონფერენციის შესახებ, რომლებიც ჩინეთის სახალხო მთავრობამ წამოაყენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინადადების პასუხად, ნერუმ თქვა, რომ ყველა მხარე დათანხმა იმას, რომ უნდა მოეწყოს პოლიტიკური კონფერენცია კორეის საკითხზე. გადაწყვეტია ამ კონფერენციის შემადგენლობის საკითხი. ასეთ კონფერენციაზე გადაწყვეტილებებს იღებენ არა ხმის უმრავლესობით, არამედ, თუ ერთსულოვნად არა, მთავარი დაინტერესებული მხარეების აზრის მეტნაკლებად დამთხვევისა და თანხმობის პირობებში.

საკითხი არსებითად ეხება იმას, თქვა მან, წარმოდგენილი უნდა იყვნენ თუ არა ამ კონფერენციაზე ნეიტრალური ქვეყნები. ნერუმ აღნიშნა, რომ, ინდოეთის აზრით, სასარგებლო იქნებოდა, რომ ამ კონფერენციაზე წარმოდგენილი იყვნენ ასეთი ქვეყნები, თუნდაც იმისათვის, რომ მათ შეუძლიათ ზოგჯერ ხელი შეუწყონ უთანხმოებისა და დაძაბული მდგომარეობის შენელებას.

ისტორია არ უნდა განმეორდეს

ედუარდ ერიოს განცხადება

პარიზი, 23 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო ჟენევიდან იუწყება, საფრანგეთის ეროვნული კრების თავმჯდომარემ ედუარდ ერიომ ექს-ლე-ბენში მიიღო გაზეთ „ჟურნალ დე ჟენევის“ კორესპონდენტი და გააცნო მას თავისი პოზიცია ევროპის თავდაცვითი გაერთიანების მიმართ. ერიომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი გამსჭვალული არ არის მტრული გრძნობებით გერმანიისადმი, და დასძინა: „მაგრამ მე მოვალე ვარ გავითვალისწინო ისტორიის ტრაგიკული გაკვეთილები, რათა ავწონ-დავწონო, თუ რა საფრთხე შეიძლება შეუქმნას იმპერიალისტურმა გერმანიამ ევროპასა და საფრანგეთს.

ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შექმნის შესახებ ხელშეკრულებას, — განაგრძო ერიომ, — ძალა ექნება 50 წლის განმავლობაში... ვის შეუძლია მოგვცეს გარანტია, რომ ერთ მშვენიერ დღეს არ გამოჩნდება „ვინმე“ და არ გამოიყენებს იმ შესაძლებლობას, რომელიც ევროპის თავდაცვითმა გაერთიანებამ გერმანიას მიანიჭა დიდი გერმანიის ოცნების ასაღორძინებლად.

სხვათა შორის, ვფიშმ, რომ ბევრ მათგანს, ვინც ამ ხელშეკრულებას იწონებს, იგი არ წაუკითხავს, განსაკუთრებით მათ არ წაუკითხავთ ყბადაღებული მე-2 მუხლი, რომელმაც დიდხანს ჩამაფიქრა. ეს მუხლი ამ ხელშეკრულების ხელმომწერ ქვეყნებს საშუალებას აძლევს სრულიად უკონტროლოდ, უმეთვალყურეოდ და შეუზღუდავად შეაგროვონ და თავისუფლად გამოიყენონ პოლიციის ძალები და ჟანდარმერია“...

„ჟურნალ დე ჟენევის“ კორესპონდენტის შენიშვნაზე, საქმე მხოლოდ საშინაო ძალებს — პოლიციასა და ჟანდარმერიას ეხებაო, ერიომ უპასუხა:

„მაგონდება, რომ დუმერგის კაბინეტში მე და ანდრე ტარდიე ვლაპარაკობდით სწორედ გერმანიის პოლიციის ძალების შესახებ, რომელთა რიცხვი გვინდოდა აუცილებლად გაგვეგო. ჩვენ ეს მაინც ვერ შევიტყეთ, და საჭირო გახდა მოვსწრებოდით ომს, რომ წარმოდგენა მიგვეღო მათ რიცხვზე. სწორედ მაშინ გავეცანით გესტაპოსა და სს-ელებს. მე არ მინდა, რომ ეს განმეორდეს... უნდა გავითვალისწინოთ ეს ფაქტი და გერმანიას არ მივცეთ შესაძლებლობა, რომ კვლავ აღორძინოს თავისი ტრადიციული ოცნება ჰეგემონიაზე“.

დასასრულ ერიომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „საფრანგეთმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რაც კი შეუძლია, რათა გამონახოს ნიადაგი ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის შესათანხმებლად“.

ფართოვდება ვაჭრობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ცეილონს შორის

ლონდონი, 23 სექტემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი კოლომბოდან იუწყება, ცეილონის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ დღეს დაიდო ცეილონ-ჩინეთის სავაჭრო შეთანხმება, რომლის მიხედვით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ცეილონს მიჰყიდის ბრინჯს და მისგან იყიდის კაუჩუკს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ახალი შეთანხმება ნიშნავს შემდგომ ნაბიჯს ჩინეთსა და ცეილონს შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარებაში. კომუნიკეში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მოლაპარაკება კეთილი ნებისა და გულითადობის ატმოსფერში მიმდინარეობდა.

ინგლის-ეგვიპტის მოლაპარაკების გამო

კაირო, 23 სექტემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთები იუწყებიან, 22 სექტემბერს ეგვიპტის „ხელმძღვანელმა რევოლუციურმა საბჭომ“ განიხილა ინგლის-ეგვიპტის მოლაპარაკების მსვლელობის საკითხი.

პრესის წარმომადგენლებისადმი განცხადებაში საბჭოს სხდომის შემდეგ ეგვიპტის ეროვნული ხელმძღვანელობის მინისტრმა სალაჰ სალემმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეგვიპტის პოზიცია ინგლისთან კონფლიქტში „წინანდელი რჩება“ სახელდობრ — ეგვიპტე მოითხოვს ინგლისის ჯარების სრულ ევაკუაციას სუეცის არხის ზონიდან.

„ჩვენ უკვე არაერთხელ აშკარად აღგვინიშნავს ჩვენი პოზიცია — თქვა სალემმა, — და იმის ერთგული ვრჩებით, რასაც ვაცხადებდით“.

სალემმა განაცხადა, რომ მოლაპარაკების მონაწილე ინგლისისა და ეგვიპტის წარმომადგენლების შეხვედრები გრძელდება, მაგრამ ეს კვლავ საიდუმლოდ იქნება დაცული. „ჩვენ, — თქვა მან, — მოვითხოვთ, რომ ეს კონტაქტი არაოფიციალური იყოს მანამდე, სანამ ინგლისის მხარე არ მიიღებს ეგვიპტის მოთხოვნებს და არ ცნობს ეგვიპტის სრული თავისუფლების უფლებას“. თუ სასურველი შედეგი არ იქნა მიღწეული, ეს „ვერ შეცვლის ეგვიპტის მიერ აღებულ იმ კურსს, რომ სავსებით გავათავისუფლოთ ჩვენი ქვეყანა ჩვენს განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით...“

ევროპის ექვსი ქვეყნის მინისტრების მოლაპარაკების გამო

რომი, 22 სექტემბერი. (საკდესი). დღეს რომში გაიხსნა ევროპის ექვსი ქვეყნის — საფრანგეთის, დასავლეთ გერმანიის, იტალიის, ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის წარმომადგენელთა თათბირი. თათბირში მონაწილეობენ საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეები და ექსპერტები. მათი ამოცანაა განიხილონ და შეათანხმონ პროექტი ხელშეკრულებისა ევროპოდებული „ევროპის პოლიტიკური გაერთიანების“ შექმნის შესახებ.

ინდოელი ფეხბურთელები საბჭოთა კავშირში ყოფნის შესახებ

დელი, 23 სექტემბერი. (საკდესი). კალკუტაში გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელიც მოაწყვეს აღმოსავლეთ ბენგალიის, კლუბის გუნდის ფეხბურთელებმა. როგორც გაზეთი „სვადჰინატა“ იუწყება, კლუბის ხელმძღვანელმა ჩანდრა გუხამ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა: „მსოფლიოში არსად არ მინახავს სპორტის ისე მხურვალედ მოყვარულნი, როგორც საბჭოთა კავშირში. ჩვენ როგორც სტადიონის მოედანზე, ისე სტადიონს გარეთ მეტად მხურვალედ გვხვდებოდნენ საბჭოთა ადამიანები“. გუხამ აღნიშნა, რომ მისი გუნდის ფეხბურთელებმა „უპრეცედენტო გამოცდილება“ მიიღეს. უპასუხა რა შეკითხვებზე, მან განაცხადა: „არც საბჭოთა კავშირში, არც სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში არ გვინახავს არავითარი ნიშანი იმისა, რომ არსებობს „რკინის ფარდა“.

აღნიშნა რა საბჭოთა ადამიანების მშვიდობისმოყვარეობა, გუხამ დასასრულ თქვა: „მთელი მსოფლიოს სპორტსმენებს მშვიდობა სურთ. მათ მხოლოდ მშვიდობიან პირობებში შეუძლიათ სრულყონ და განავითარონ თავიანთი ნიჭი“.

ნ. დვალიშვილი — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი

ნადეჟდა დვალიშვილი (ხნიკინა) ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი მძლეოსანია. მის სასპორტო მიღწევებს კარგად იცნობენ საბჭოთა კავშირის და საზღვარგარეთის სპორტის მოყვარულნი. დვალიშვილს არაერთხელ შეუტანია ცვლილებები რესპუბლიკურ, საკავშირო და მსოფლიო რეკორდების ცხრილში.

მიმდინარე წლის მძლეოსანთა საკავშირო ჩემპიონატში ნ. დვალიშვილმა ორი პირველი ადგილი და ოქროს მედლები მოიპოვა. იგი სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა 100 და 200 მეტრზე რბენაში.

საბჭოთა სპორტსმენების ახალი წარმატებით აღინიშნა ამ დღეებში ბუდაპეშტში გამართული ამხანაგური შეხვედრები ჩვენი ქვეყნის და უნგრელ მძლეოსანთა შორის. ამ შეჯიბრებაში სხვებთან ერთად მონაწილეობას იღებდა სპრინტერი ნ. დვალიშვილი, რომელმაც ამანათრბენში 4×100 მეტრზე ვ. კალაშნიკოვასთან, ზ. საფრონოვასთან და ი. ტუროვასთან ერთად ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ნ. დვალიშვილმა პირველი ადგილი დაიკავა აგრეთვე 100 და 200 მეტრზე რბენაში.

საბჭოთა კავშირის და უნგრეთის მძლეოსანთა შეხვედრებში მაღალი სასპორტო შედეგი მოიპოვა აგრეთვე კიეველმა მძლეოსანმა ქალმა ნ. ოტკალენკომ. მან 800 მეტრი გაირბინა 2 წუთსა და 8,3 წამში.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის მთავარმა სამმართველომ ბუდაპეშტში გამართულ შეხვედრებში მოპოვებული წარმატებისათვის ნ. დვალიშვილსა და ნ. ოტკალენკოს მიანიჭა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

სურათზე: სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. დვალიშვილი.

საერთაშორისო საჭადრაკო ჟურნალი შვეიცარიაში

ციურიხი, 24 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ გაიმართა პრეტენდენტთა საჭადრაკო ტურნირის მე-14 ტური. ყაიმით დამთავრდა გლიგორიჩ-რეშევსკის, ნაიდორფ-სმისლოვის, სამოჰოლესლავსკისა და პეტროსიან-გელერის შეხვედრები. გაცხოველებული ბრძოლის შემდეგ ასეთივე შედეგით დამთავრდა ტაიმანოვ-კერესის პარტია.

ორი შეხვედრა დაუმთავრებელი დარჩა. ეიფელ რამდენადმე უკეთესი მდგომარეობა აქვს შტალბერგთან. ავერბახ-კოტოვის პარტიაში შავებმა საინტერესო კომბინაცია მოაწყეს ლაზიერის შეწირვით. ეს პარტია შეწყდა ისეთ მდგომარეობაში, როცა ავერბახს ზედმეტი ლაზიერი ჰყავს, მაგრამ მისი მეფე ძლიერ საშიშ მდგომარეობაშია.

თბილისი

ფართოდ ინერგება საოჯახო ელექტრომოწყობილობა

რუსთაველის პროსპექტის ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილას გამელელის ყურადღებას იპყრობს დიდი ვიტრინა, რომელშიც მოჩანს მოელვარე ვერცხლისფერი ნიკელის საგნები, ბროლის ჭაღები, ფერადი აბაჟურები, რძისფერი ფაიფური და მინანქარი. ეს „გლაველექტროსბიტის“ სპეციალიზებული საფირმო მაღაზიაა.

საოჯახო ნივთებს შორის საბჭოთა ადამიანის ყოფაცხოვრებაში მტკიცედ დაინერგა ყველა სახის ელექტრომოწყობილობა. წელს მარტო ამ მაღაზიაში გაიყიდა 250 მაცივარი, 600 ელექტროსარეცხი მანქანა, ასობით რადიომიმღები, მტვერსასრუტავი, ათასობით უთო, ელექტროპატეფონები და სხვა ელექტრომოწყობილობა, სულ 3 მილიონზე მეტი მანეთის საქონელი.

ასეთი სპეციალიზებული მაღაზია თბილისში ორია.

ათასობით ტონა ხილი და ყურძენი თბილისელებს

წელს ხილის უხვი მოსავალია. სამტრესტის ბრეთის, ვარიანის და ქიწნისის ხილის საბჭოთა მეურნეობებში დაიწყო ხილის — უმთავრესად ვაშლის მასობრივად კრეფა. უკვე მოკრეფილია 1.300 ტონამდე ხილი. კრეფის პირველი დღის შედეგებით ირკვევა, რომ წელს გეგმის გადამეტებით მოიკრიფება სამი ათას ტონაზე მეტი ვაშლი. ხილის განსაკუთრებით უხვ მოსავალს იღებს ვარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა. აქ მოკრეფენ 3.200 ტონაზე მეტს.

თბილისის მოსახლეობა წლის ბოლომდე მიიღებს ორი ათას ტონა ხილს, 3 ათას ტონა ყურძენს. 300 ტონა ყურძენი უკვე გაიყიდა თბილისის მაღაზიებში.

5 ათასი ტონა ხილი საქართველოდან იგზავნება მოსკოვში, ლენინგრადში, დნეპროპეტროვსკში, როსტოვში და ჩვენი ქვეყნის სხვა სამრეწველო ცენტრებსა და ქალაქებში. 150-მდე ტონა ყურძენი გაიგზავნება მოსკოვში, ლენინგრადში და სხვა ქალაქებში.

თევზი მოსახლეობას

„საქთევზტრესტის“ ბათუმის, ფოთის, სუხუმის, გაგრის, თბილისის თევზის ქარხნებმა, ბათუმის სახელმწიფო თევზსაკერმა ბაზამ, მეთევზეობის ხუთმა კოლმეურნეობამ წელს 10 სექტემბრამდე დაიჭირა და გადაამუშავა 4.000-მდე ტონა თევზი — 900 ტონაზე მეტი კეფალი, ფარგა, ლოქო, კობრი, სტავრიდა, ბარაბულა, ხრამული და სხვ., 22 ტონაზე მეტი ქაშაყი, 3.000 ტონამდე ქაფშია. ამ ახლო ხანში მარტო თბილისში გაციებული სახით გაიყიდა 8 ვაგონი სტავრიდა. წლის ბოლომდე გაიყიდება კიდევ 3.000 ტონაზე მეტი თევზი.

გარდა ამისა, „გლავრიბსბიტის“ საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას თევზი შემოაქვს კასპიის ზღვიდან, უმთავრესად ასტრახანიდან. 8 თვეში შემოტანილია 4.800 ტონა თევზი და 4. 700 ქილა თევზის კონსერვი.

რუმინელი ფეხბურთელების გამგზავრება

თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი.

რუმინელი სპორტსმენები, რომლებიც აქ ხუთ დღეს იყვნენ სტუმრად, გაეცნენ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, ჰქონდათ ამხანაგური შეხვედრა „დინამოს“ ადგილობრივ ფეხბურთელებთან. სტუმრები იყვნენ ი. ბ. სტალინის სამშობლო ქალაქ გორში. (საქდესი).

კარელია-ფინეთის ხელოვნების ოსტატთა კონცერტები

ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობა ნაკლებად იცნობს კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის მუსიკალურ ხელოვნებას. ამიტომ გასაგებია ის დიდი ინტერესი, რომლითაც თბილისელები შეხვდნენ მომღერალ სირკა ანდრიას ასულ რიკას და კარელია-ფინეთის სახელმწიფო ფილარმონიის სიმღერიანი კვარტეტის კონცერტებს.

რესპუბლიკის სახალხო არტისტმა სირკა რიკამ კონცერტებზე გამოამყღავნა შესრულების დიდი კულტურა. მისი ხმა გამოირჩევა ლამაზი ტემბრით, ყღერს უბრალოდ და თბილად. მომღერალმა თბილისელ მსმენელებს გაუცნო მისი სამშობლო მხარის შესანიშნავი სიმღერები, კარელია-ფინეთის კომპოზიტორთა ნაწარმოებები, აგრეთვე იმღერა რუსი და უცხოელი კლასიკოსების, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კომპოზიტორთა რომანსები.

სირკა რიკას ლირიკულ-კოლორატურული სოპრანო ლამაზად ყღერს მისი თანამემამულე ავტორების ა. გოლანდის, კ. რაუტნოს, ა. სინისალოს სიმღერებში, რომლებსაც იგი მღერის კვარტეტთან ერთად, პოლონურ ხალხურ სიმღერებში, ლისტის, გრიგისა და დვორუკის რომანსებში.

საუკეთესო შთაბეჭდილებას ტოვებს კარელია-ფინეთის სსრ კვარტეტის გამოსვლა. კვარტეტის შემადგენლობაში არიან გ. ხუმეკი (1-ლი ვიოლინო), ე. ზონდერეგერი (მე-2 ვიოლინო), ვ. ტოლზა (ალტი) და ვ. ალაბინი (ჩელო). მათ კარგად შეასრულეს გრიგის კვარტეტის 1-ლი ნაწილი, კ. რაუტნოს „სკერცო“, ორი ნაწყვეტი პიანისტ კომპოზიტორ ა. გოლანდის სიუიტიდან „დღესასწაულზე“ და „სიმღერა“, მისივე მონაწილეობით რ. პერგამენტის კვინტეტის ერთი ნაწილი, აგრეთვე სტალინური პრემიის ლაურეატის ხ. ცინცაძის მინიატიურა „საჭიდაო“.

კარელია-ფინეთის სსრ მუსიკალური ხელოვნების ოსტატთა გამოსვლებს წარმატება ჰქონდა.

მ. გოგრელიშვილი.

სეზონის გახსნა რუსთაველის სახელობის თეატრში

გუშინ, 24 სექტემბერს სპექტაკლით „არსენა“ გაიხსნა რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის 1953-54 წლის სეზონი. სპექტაკლში ოროლებს ასრულებდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები გ. დავითაშვილი, ემ. აფხაიძე, გ. სალარაძე, ნ. ლაფაჩი, ლ. ლიტვინოვა, ნ. ბეგალიშვილი, ნ. ბაბალეანი, ბ. ბეგიაშვილი, ვ. ბაბალეანი, ბ. ბეგიაშვილი, ვ. ბაბალეანი, ბ. ბეგიაშვილი, ვ